# სარბიელი

სპორტული გაზეთი    პარასკევი 30 აგვისტო 2002 №163 (1685)    ფასი 50 თეთრი



UEFA CUP

# ჯანაშიას გააქვს, ლოკომოტივი უშვებს

## ვის ჩამოიყვანს დინამო?



ლოკომოტივი — კოპენჰაგენი 1:4. ზაზა ჯანაშიას ეფექტურ გოლს სიბუსისო ზუმამ და „კოპენჰაგენმა" ოთხით უპასუხეს

# ამერიკა ამერიკას ელის

## შტატების შვილობილმა თურქეთს ალიყური აჭამა



REUTERS

იუგოსლავიელთა ბებერი ხარი ვლადე დივაცი მსოფლიოსთვის საგანგებოდ მოემზადა: წვერიც კი გაიპარსა

მთლად ზარ-ზეიმით და თვალისმომჭრელი ბრჭყვიალებით არა და, რამდენიმე ათასი მოცლილის დასწრებით კი გაიხსნა მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატი. ზედმეტად სადა ცერემონიალზე ორიოდ სიტყვა დააგდეს ბურთისა და კალათის ლეგენდებმა ლარი ბერდმა, ოსკარ რობერტსონმა და ოსკარ შმიდტმა. მერე კი დაიწყო ნაღდი კალათბურთი, კალათბურთის მშობელ ამერიკელთა სამარცხვინოდ სპორტის რაგინდარა სახეობის მთავარი პეწის — მაყურებლის გარეშე.

ინდიანაპოლისის ორ უზარმაზარ და საზარლად ცარიელ დარბაზში სულ ორიოდ ასეულმა ადამიანმა იხილა, თუ როგორ — 113:63 გაანადგურა ევრომონსტრმა იუგოსლავიამ აფრიკის ჯუჯა ჩემპიონი ანგოლა, ხოლო ბრაზილიამ 102:73 შთანთქა ლიბანი. ვერც ნბა-ელთაგან განირული კანადის და პაუგასოლიანი ესპანეთის შეხვედრამ (ესპანელებმა 85:54 იმარჯვეს) მიიპყრო თუნდ ნახევარი ათასეული კაცის ყურადღება.

ტურნირის საწყის მატჩთაგან ერთადერთმა ჩაიარა მსოფლიოს ჩემპიონატის საკადრისად. პუერტო რიკოსა და თურქეთის შერკინებამ ხვავიან ამერიკაში უხვად გადახვეწილი პუერტოელების და არნაკლები თურქის ყიჟინაში ჩაიგრიალა და ჩემპიონატის პირველი მოულოდნელობაც მოიტანა. ამერიკის ფრთებქვეშ დამალული პუერტო რიკოს რჩეულმა მობურთალებმა ძალიან ბევრის გასაკვირად 78:75 იმსხვერპლეს ევროპის ვიცეჩემპიონი და, ალალად რომ ვთქვათ, ცოტა გაბღენძილი თურქეთი.



REUTERS

ამერიკაში ტურისტებად ჩასულ ლიბანელებს ჩემპიონატზე კიდევ ბევრი რამ გააკვირვებთ

# უეფას თასი

## საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი



სიბუსისო ზუმამ თბილისურ „ლოკომოტივზეც" გაინავარდა

თბილისი. 29 აგვისტო. 19 საათი. ლოკომოტივი. 6 000 (ტევადობა 26 600)

### ლოკომოტივი 1:4 კოპენჰაგენი (1:3)

1:0 ჯანაშია (9), 1:1 ზუმა (23), 1:2, 1:3 პეტერსონი (69, 73), 1:4 იონსონი (81)

| ლოკომოტივი | კოპენჰაგენი |
|---|---|
| ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, კვარაცხელია, რ. ოსიანი, ქიქავაშვილი (ლაცაბიძე 28), სირაძე (ბურნაძე 46), ქორიძე, კაიდარაშვილი, ჯანაშია. სათადარიგონი: იგარდავა, გოგინაშვილი, დავითაშვილი, როსია, გოგიბაიშვილი. მწვრთნელი: სერგო კუტივაძე | კოპენჰაგენი: კრლშტედტი, ანტონელიუსი, როთბა, სვენსონი, ალბრეხტსენი (ნისგაარდი 70), ლინსტრომი, მიუკლანდი, ნილსენი, როლ ლარსენი, ზუმა (პეტერსონი 66), მიოლერი (ტ. იონსონი 76). სათადარიგონი: პედერსენი, ტოვეროვიჩი, ნორეგაარდი. მწვრთნელი: ჰანს ბაკე |

გაფრთხილება: ქორიძე (77), ლაცაბიძე (78)

მსაჯები: გ. დურისი; ჰ. მაგრომბულისი, დ. პაპადოპულისი; გ. სკუპასი (ყველა საბერძნეთი)

უეფა-ს დელეგატი: სტანისლავ სპერაკი (პოლონეთი)

ჯარიმა: 13-18; კუთხური: 1-4; კარისკენ დარტყმა: 5-5; კარში დარტყმა: 2-9; თამაშგარე: 5-2

# სარემონტოა!

## დანიელმა სპეციალისტებმა ლოკომოტივი დეპოში შეაყენეს

**ბაჩუკა კვანტალიანი**

### სახსოვრად ზუმას ავტოგრაფი

„...კუპრივით შავია, ქერად შეღებილი თმებით დაქროდა შარშან „ტორპედოზე". საქართველოში მეორედ გვეწვია, წლეულს იერი უცვლია, „ლოკომოტივზე" არ ყოფილა თეთრთავა შავი კაცი, მაგრამ ბურთის ფლობა, მცველების დაწიოკება და საგოლედ მოქნევა არ დავიწყებია.

სამხრეთაფრიკელმა სიბუსისო ზუმამ დედაქალაქშიც დაგვიტოვა თავისი ავტოგრაფი. შარშან ქუთაისელთა გამამწარებელმა, გუშინ ვაკეში ისე დააბნია რკინიგზელთა უკანა ხაზი, რომ გონს მოსასვლელად გვარიანი ხანი დასჭირდებათ.

ზუმას დიდხანს არც უთამაშია, პირველ ტაიმში დროის მცირე მონაკვეთში ოთხჯერ გაისროლა მასპინძელთა კარისკენ. პირველად გიორგი ლომაიას უხეიროდ მოგერიებულს ისეთი სიძლიერით დაამატა, რომ ბურთმოხვედრილი ხარიხა კარგა ხანს ზანზარებდა. მეორედ თბილისელთა მეკარე გაჭირვებით შესწვდა შავი კაცის დარტყმულს. მესამედ მაკრატელა დაჰკრა და კარს ააცილა. ზუმამ თავისი მეოთხე ცდაზე გაიტანა. მცველები ხახამშრალი დაგვიტოვა და ლომაია — უშანსოდ. მანამდეც ხომ ყველაფერი ნათელი იყო, „კოპენჰაგენი" გუშინ წამგებ გუნდს ნამდვილად არ ჰგავდა. სამხრეთაფრიკელმა კი თავისი გოლით საქართველოს ვიცე-ჩემპიონს ერთი ციცქნა იმედიც მოუკლა.

### დანარჩენები

„კოპენჰაგენი" „ლოკომოტივთან" შედარებით სოლიდური კლუბია. სტუმართა უპირატესობა თვალშისაცემი იყო. რკინიგზელები ცოდვილობდნენ, ხოლო დანიელები... ჩვენ გვეამაყება, რომ ვაკეში არსებობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მოედანი. დანიიდან დაბრუნებული ქართული დელეგაცია კი გაოცებული იყო იქაური სტადიონით და სავარჯიშო მოედნებით.

აქ ამბობენ, რომ „ლოკომოტივში" კარგი ფეხბურთელები თამაშობენ, მაგრამ სტუმრების შემხედვარე უნდა მიხვდნენ, ვინ არის კარგი. „კოპენჰაგენს" ჰყავს ერიკ მიუკლანდი, მრავლისმნახველი ვეტერანი, რომელმაც მასპინძელთა შუა ხაზი ისე დალალა, ისე გააწამა, რომ გადაბმულად ორი პასი არ გაუკეთებიათ.

ვაკეში ითამაშეს პეტერსონმა, სვენსონმა, იონსონმა და საშუალო გაქანების სხვა დანიელებმა. განა ისინი ვარსკვლავები არიან? არა, უბრალოდ, მათ იციან ტაქტიკა, დიდძალი შრომის ფასად სწავლობენ ბურთის ნორმალურად ფლობას, არ ეშლებათ მოედანზე სწორი პოზიციის შერჩევა და ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულნი.

ვერავინ დაიჩემებს, სტუმრები უშეცდომონი იყვნენო. ორ-სამ მომენტში „კოპენჰაგენის" დაცვამაც გვარიანად შეცოდა, მაგრამ მასპინძლებმა ვერ ივარგეს. გასაოცარი ის იყო, რომ ჰანს ბაკეს ბიჭები მუდამ თავისუფალ სივრცეში იღებდნენ ბურთს, რკინიგზელთა შებოჭილი შუა ხაზი კი წინ ნაბიჯს ვერ დგამდა.

1:2 პეტერსონი, 1:3 პეტერსონი, 1:4 იონსონი... დანიელთა ყველა გოლი ქართველთა მიამიტური შეცდომის ბრალი იყო. რკინიგზული გუნდის ვეტერანებს აბა, რა უნდა მოვკითხოთ. ისინი დღესხვალ კარიერას დაამთავრებენ. ახალგაზრდების საყურადღებოდ კი ამას ვიტყვით — ძალიან შორია ფეხბურთელობამდე და გუშინდელი მატჩის ვიდეოფირს კიდევ ერთხელ თუ დაატრიალებთ, ვინძლო თქვენთვის სასიკეთო დასკვნები გამოიტანოთ.

მოედანზე მიუკლანდი რომ დაგლის, კაცი, რომელიც ზოგიერთ რკინიგზელს ლამის მამად ერგება, მაშინ ერთი კითხვა მაინც უნდა დაებადოს მწვრთნელსაც და ფეხბურთელსაც — რაშია საქმე, პრობლემის თავიდათავი სად არის დამარხული?

„ლოკომოტივს" ჰქონდა პრობლემები. ვერ ითამაშა გოგიჩაიშვილმა, ფეხნატკენი იყო ორბელაძე, პირველი ნახევრის შემდეგ მოედანზე ვერ გამოვიდა დაშავებული სირაძე, მაგრამ განა რამე შეიცვლებოდა, ყველაფერი რიგზე რომ ყოფილიყო? ვაგლახ, რომ არა, რადგანაც ჩვენში არ იციან გუნდის მომზადება, საერთოდ არ გვაქვს ტაქტიკა, მეტოქე პრესინგისმაგვარს შემოგვთავაზებს და უსუსურები ვხდებით. გუშინ „ლოკომოტივი" რომ წააგებდა, ამას შეგუებული ვიყავით, მაგრამ ასე უილაჯოდ თუ ითამაშებდა, არ გვეგონა.

### ამოუცნობი ჯანაშია...

...თამაში ჯერ არც გახურებულიყო, მასპინძლებს საზრიანი კომბინაცია რომ გამოუვიდათ. ბალაშვილმა წინგაჭრილ სირაძეს გადაუგდო ბურთი, დათომ მეურვეს გაასწრო, დაზღვევაზე წამოსულ მეტოქესაც არაფერი დაუთმო და მისი მიმართულებით დაძრული ჯანაშიაც დროულად შენიშნა. ზაზა წამით უმეთვალყურეოდ დარჩა, შეიმართა, კამარა შეკრა და ტრიბუნებმაც იხუვლეს. ეს არ გახლდათ მაკრატელა კლასიკური შესრულებით, მისი და ნახევარბრუნის ნაზავი იყო, თუმც ვინც გოლი ნახა, თამაშის მერეც აღტაცებას ვერ ფარავდა.

გუშინ მხოლოდ ჯანაშია დამარცხდა, რადგანაც ეულად ებრძოდა მოიმხდურს. ვიდრე დავით სირაძე ფეხზე იდგა, მის დახმარებას ცდილობდა, ერთი-ორჯერ გამოუვიდათ კიდეც, მერე...

ზაზამ არც ახლა გატეხა სიტყვა. თქვა, გავიტანო და შეაგდო. კოპენჰაგენშიც და თბილისშიც თითოჯერ დაამწუხრა დანიელები. ფეხბურთელს, რომელსაც ორი კვირის მანძილზე სამჯერაც არ უვარჯიშია, ასე კარგად თამაში ძალუძს. ჯანაშიას ამაოდ დაეძებდა ნაკრების თავკაცი, მაგრამ ვერსად მიაგნო და, ბუნებრივია, თურქეთშიც ვერ წაიყვანა. ზაზა ვერც შვეიცარიაში ითამაშებს, საგერმანიო ვიზა ვერ ესწრება, იქნებ სარუსეთოდ მაინც იყოს ფორმაში.

რკინიგზული კლუბის თავკაცებიც გაკვირვებულები ამბობენ, რა უნდა ჯანაშიას ჩვენს გუნდში, ის გაცილებით მაღალ დონეზე უნდა თამაშობდესო. ცოტას რომ მოინდომებდეს, თავს ხელში აიყვანდეს, მოედანზე მისი გამჩერებელი ძნელად მოიძებნება, მაგრამ... ფაქტია, მას დღესაც ხელეწიფება ისეთი გოლების გატანა, თანამედროვეობის ვერც ერთი ქართველი ფორვარდი რომ ვერ შეაგდებს, თუმც მუდამ ასე არ გაგრძელდება.



ქართველთაგან ბოლომდე ზაზა ჯანაშია იბრძოდა

### გადაგვარებული მენტალიტეტი

ფეხბურთი არ არის მხოლოდ 22 მოთამაშის მოედანზე აღმა-დაღმა სირბილი. ის მინდვრის მიღმა იწყება. ეს იციან ცივილიზებულ მსოფლიოში და ნაყოფსაც იმკიან. ჩვენში ხომ უკუღმა უნდა იყოს ყველაფერი. პრესლოჟაში თითქმის ყველა ხელობის ადამიანისთვის მოიძებნება ადგილი, გარდა ჟურნალისტებისა. მაყურებლებს მხოლოდ გინება ეხერხებათ, თანაც ათიოდ სტუმარი გულშემატკივრისა, რომლებიც 90 წუთის მანძილზე მღერიან და თავიანთთვის მცირე დღესასწაულს იწყობენ. სტადიონზე ამაყად ფრიალებს უეფასა და მეტოქე ქვეყნის უშველებელი დროშები, ხოლო იმათ ფონზე საქართველოს ერთი ციდა ალამი მოკრძალებით ირხევა.

ჩვენს სტადიონებზე ხალხის გამხიარულება მხოლოდ ოთარ მამასახლისს თუ შეუძლია, რომლის შემხედვარე დანიელმა ფეხბურთელებმა — პეტერსონმა და იონსონმა — შესვენებისას მოთელვაც შეწყვიტეს. უკვირდათ, რატომ ანგლობს ეს კაციო. საპრესკონფერენციო დარბაზის შესასვლელთან ოციოდ ჟურნალისტი თითქმის ერთი საათი ამაოდ უნდა ველოდოთ მწვრთნელებს იმიტომ, რომ ისინი, ალბათ, არავინ გააფრთხილა.

ეს ყველაფერი და კიდევ უარესი მხოლოდ ჩვენში შეიძლება მოხდეს და დღეს საქართველოს აქვს პრეტენზია, საფეხბურთო ქვეყნად იწოდებოდეს. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ოდესღაც საქართველო მართლაც საფეხბურთო ქვეყანა იყო.



ერიკ მიუკლანდისგან (მარჯვნივ) ლამის შვილისტოლა ლოკომოტიველებმა ბევრი უნდა ისწავლონ

ტალინი. 29 აგვისტო. 21 საათი. ა ლე კოქ არენა. 500 მაყურებელი

### ტვმკ 0:1 დინამო (1:4)

0:1 ახალაია (74)

| ტვმკ | დინამო |
|---|---|
| ტვმკ: უსოლცევი, სკიპერსკი, მოკოლენკო, კაპუსტინი, ლეეტმა, ბორისოვი, სმირნოვი, კროლოვი (მალოვი 77), სარაევი, კოსელიოვი (ტეევერი 55), პაიცევი. სათადარიგონი: რუშკოვი, სუვოროვი, პროვეტნზევი, კოსტინი. მწვრთნელი: ვიაჩესლავ სმირნოვი | დინამო: ზოიძე, კანდელაკი, ვაშაკიძე, მაზიაშვილი, ამისულაშვილი, კობიაშვილი (ხიზანიშვილი 83), სახვაძე, გოგობერიშვილი, აშიბაძე, დარასელია (მიქაძე 77), ახალაია. სათადარიგონი: გვარამაძე, მაზიაშვილი, ბობოხიძე, კვირკველია, სამხარაძე. მწვრთნელი: იგო შუშაკი |

გაფრთხილება: კაპუსტინი (34), მოკოლენკო (42), გოგობერიშვილი (61), მოკოლენკო (71)

გაძევება: მოკოლენკო (71)

მსაჯი: ქაპენ ბერნტსენი (ნორვეგია)

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# ესეც ირლანდია!

### ირლანდია

**7 სექტემბერს,** ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის X შესარჩევ ჯგუფში, დუბლინის „ლენსდაუნ როუდზე" ირლანდიის ეროვნული გუნდი რუსეთისას უმასპინძლებს.

ირლანდიელთა მწვრთნელმა მიკ მაკარტიმ თავისი რუსი კოლეგის, ვალერი გაზაევის არ იყოს, შემადგენლობა უკვე დაასახელა. მაკარტის რჩეულნი სულ ოცდაორია. მწვრთნელმა ცნობილ მიზეზთა გამო, ცხადია, არ მიიწვია „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი როი კინი.

*მეკარეები:* შეი გივენი (ნიუკასლი, ინგლისი), დინ კელი (ჩარლტონი, ინგლისი), ნიკ კოლგანი (ჰიბერნიანი, შოტლანდია);

*მცველები:* იან ჰარტი (ლიდსი, ინგლისი), გარი ბრინი (ვესტ ჰემი, ინგლისი), გარი კელი (ლიდსი, ინგლისი), კენი კანინგემი (ბირმინგემი, ინგლისი), სტივ ფინანი (ფულემი, ინგლისი), ჯონ ოში (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ფილ ბები (სანდერლენდი, ინგლისი);

*ნახევარმცველები:* ჯეისონ მაკატირი (სანდერლენდი, ინგლისი), მეტ ჰოლანდი (იფსვიჩი, ინგლისი), კევინ კილბეინი (სანდერლენდი, ინგლისი), კოლინ ჰელი (სელტიკი, შოტლანდია), მარკ კინსელა (ჩარლტონი, ინგლისი), ლი კარსლი (ევერტონი, ინგლისი), რორი დელაპი (საუთჰემპტონი, ინგლისი), სტივენ მაკფაილი (ლიდსი, ინგლისი);

*თავდამსხმელები:* რობი კინი (ლიდსი, ინგლისი), კლინტონ მორისონი (ბირმინგემი, ინგლისი), დემიენ დაფი (ბლეკბერნი, ინგლისი), გარი დოჰერტი (ტოტენჰემი, ინგლისი)



გიორგი დეკანოსიძე ახალგაზრდულ ნაკრებს შვეიცარიაში დაეხმარება

# დეკანოსიძემ ფეხი გაისწორა, კოპალეიშვილმა იმიჯი

რამდენიმე დღეც და საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ევროპის 2004 წლის ჩემპიონატისკენ მიმავალ ციცაბო ალმართს შეუყვებიან. პირველი გამოცდა ქართველებს შუაგულ ევროპაში, შვეიცარიასთან უწევთ. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა გიორგი დეკანოსიძემ კი მეორე ბუნდესლიგური სეზონი ერთობ უილბლოდ დაიწყო. უფრო სწორად, ვერ დაიწყო. ჩვენებური ერთხელაც არ გამოჩენილა „ფიურტის" ძირითად შემადგენლობაში და არც ბოლო ამხანაგურ მატჩში უთამაშია თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან.

გუშინ გიორგი დეკანოსიძეს გერმანიაში დავუკავშირდით და კლუბსა და ნაკრებზე გავესაუბრეთ.

— მეორე ბუნდესლიგა დაიწყო, შენ კი „ფიურტში" ჯერაც არ გითამაშია...

— ტრავმის გამო სეზონის საწყისი ტურები გამოვტოვე. ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხი გადამიბრუნდა და მკურნალობამ დიდი დრო წამართვა. ამის გამო თურქეთშიც არ მითამაშია ახალგაზრდულ ნაკრებში.

— ფეხი ახლაც გაწუხებს?

— არა, უკვე სრულად გამოვჯანმრთელდი და მთელი დატვირთვით ვვარჯიშობ.

— „ფიურტის" უსუსურ სტარტზე რას იტყვი?

— მართლაც ძალიან ცუდად დავიწყეთ სეზონი. ზუსტად ვერ გეტყვით, რისი ბრალია ასეთი ჩავარდნა. ალბათ იმის, რომ გუნდში ბევრი ახალწვეულია და შეთამაშებას რაღაც დრო უნდა.

— კი მაგრამ, ამისთვის წინასასეზონო შეხვედრებისას ისედაც ბევრი ამხანაგური მატჩები ჩაატარეთ...

— ესეც მართალია. ძალიან ბევრ საგოლე მომენტს ვერ ვიყენებთ და მერე ვისჯებით კიდეც.

— კლუბის ხელმძღვანელობა ალბათ უკმაყოფილოა...

— რა თქმა უნდა. სამ ტურში ერთი ქულა ძალიან ცუდი შედეგია. იმედია, მდგომარეობის გამოსწორებას შევძლებთ და უკეთ ავთამაშდებით.

— მალე შვეიცარიასთან ოფიციალური მატჩი ელის საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს. რას იტყვი?

— შანსი ყველასთან გვაქვს. უნდა ვეცადოთ, რომ ეს შეხვედრა ჩვენთვის სასურველი შედეგით დავამთავროთ.

— ვახტანგ კოპალეიშვილი უკვე შეგეხმიანა?

— დიახ, უკვე დამიკავშირდნენ და მეც მზად ვარ სათამაშოდ. შვეიცარია სერიოზული მეტოქეა, მაგრამ ჩვენ ჩვენი უნდა გავაკეთოთ.

— მეტოქეზე რამე ხომ არ იცი?

— არა, შვეიცარიელებზე არაფერი გამიგია, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი არაა. ყველაფერი უნდა გავიღოთ და გულშემატკივრები გავახაროთ. ამის პოტენცია საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს აქვს.

— ესე იგი, უიმედოდ არ ხარ?

— არა, რატომ? წინასწარ ყურები არ უნდა ჩამოვყაროთ. შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ყველა გუნდს აქვს, მათ შორის ჩვენც.

— თურქეთში ქართველებმა უშენოდ იმარცხეს ურთულეს მატჩში...

— ძალიან გამიხარდა. თურქეთის ნაკრები ძლიერია და ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ არც ჩვენ გვყავს ცუდი გუნდი. თან წარმოიდგინეთ, რა რთულია იქ თამაში. ასე რომ, ძალა არ უნდა დავიშუროთ. თუ ბოლომდე ვიბრძოლებთ, შედეგიც გვექნება.

**ტახა ზალამბერიძე**

# კალაძე კრილიაში დაფრთიანდება

**საქართველოს** ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრების ყოფილი მცველი ანზორ კალაძე სამარის „კრიალა სოვეტოვში" გადავიდა.

კალაძე კობა ჟორჟიკაშვილის მწვრთნელობისას გამოჩნდა ჩვიდმეტწლამდელთა ეროვნულ გუნდში და თავიდანვე მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება, 17 წლის კალაძე თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი იყო და ფინალურ ეტაპზეც არ შეურცხვენია თავი. შეგახსენებთ, რომ დანიაში ჩვიდმეტწლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდებმა მეოთხედფინალს უწიეს.

ახლა კი ანზორ კალაძეს შანსი აქვს, რუსულ პრემიერლიგაშიც მოსინჯოს ძალა. ყოველ შემთხვევაში, „კრილია სოვეტოვმა" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კალაძის სატრანსფერო ფურცელი სთხოვა და უკვე მიიღო კიდეც.

ასე რომ, „კრილიადან" ზურაბ ფოფხაძის წასვლის შემდეგ ალექსანდრ ტარხანოვის გუნდში ქართველი ისევ გამოჩნდა. თან ისიც გავითვალისწინოთ, რომ სამარელები მიმდინარე სეზონში საკმაოდ ფხიანად ირჯებიან, მეოთხე ადგილზე არიან და ევროთასების საგზურის მოპოვების რეალური შანსიც აქვთ.

**ტახა ზალამბერიძე**

# რუსები თბილისში ბაზებს დაზვერავენ

**12 ოქტომბერს** საქართველო — რუსეთია, ფეხბურთზე მეტი ამბავი.

იქამდე ჯერ დიდი დროა, თუმც რუსები თადარიგს აქედანვე იჭერენ. 10 სექტემბერს ორი ვიქტორი ეწვევა საქართველოს დედაქალაქს. კოტოლოვსკი და ზიაჩენკო რუსთა ეროვნულ-ახალგაზრდული ნაკრებების მენეჯერები არიან და თბილისში საქმიანი ვიზიტით ჩამოვლენ. მათი მიზანი საოქტომბროდ სასტუმროს და სავარჯიშო ბაზის შერჩევაა, რათა მათ თანამემამულეებს ყველა პირობა ჰქონდეთ საქართველოსთან საბრძოლო განწყობილების ასამაღლებლად.

კოტოლოვსკის და ზიაჩენკოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უმასპინძლებს.

**ბაატა ძგანტალიანი**

საქართველოს ჩემპიონატი 14 უმაღლესი ლიგა პირველი ეტაპი **5 ტური** ანონსი

ბათუმი. დინამო. 30 აგვისტო. 18 საათი

**ბათუმი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ტ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე (ორივე სამტრედია); მ. დოგრაშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ტ. სორდია

ზესტაფონი. ცენტრალური. 30 აგვისტო. 18 საათი

**მეტალურგი — ტორპედო**

მსაჯები: მ. მალაღურაძე; ლ. სილაგავა, კ. თბილელი (სამივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ქიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

ფოთი. ფაზისი. 30 აგვისტო. 18 საათი

**კოლხეთი — გორდა**

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), ტ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

გორი. ცენტრალური. 30 აგვისტო. 18 საათი

**დილა — მერანი**

მსაჯები: ა. მეშკოვი; მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

გურჯაანი. დავით ყიფიანი. 30 აგვისტო. 18 საათი

**მილანი — სიონი**

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

**დინამო — ლოკომოტივი**

გადაიდო

საქართველოს ჩემპიონატი 14 პირველი ლიგა პირველი წრე **1 ტური** ანონსი

# ლოკომოტივმა პირველ ლიგაში რკინიგზა გაიყვანა

**4 სექტემბერს** პირველი ლიგის 16-გუნდა ჩემპიონატი უნდა დაიწყოს. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებმა სულ არია გათამაშების ფორმატი. პირველი ლიგა შარშანდელივით 12-გუნდა იქნებოდა, სფფ-ის აღმასკომს ჭაბუკებისთვის მწვანე შუქი რომ არ აენთო. ამრიგად გაჩნდა ჩემპიონატში უკონკურსოდ მონაწილე მეცამეტე გუნდი. 13 თარსი რიცხვია, თანაც გუნდების კენტი რაოდენობა გათამაშების ფორმატის შერჩევისას გარკვეულ სირთულეებს უკავშირდებოდა, ამიტომ სფფ-მ გადაწყვიტა, პირველი ლიგა 16 გუნდამდე გაეზარდა. ამით მომგებიანი ნაბიჯიც გადადგა, რადგან წინა ჩემპიონატში ლიგიდან გავარდნილებსაც არ დასწყვიტა გული — „სამტრედია", „ივერია" და „მერანი 2" ახალი ფორმატის წყალობით კვლავაც პირველლიგელები არიან. აქვე ისიც ვთქვათ, რომ სამტრედიის გუნდს „ლოკომოტივი" დაერქვა, უსახსრო ავჭალელები კი შედარებით ღალხინებულ გურჯაანის „ალაზანს" დაუკავშირდნენ ხელშეკრულებით და მათმა ძმობამ ორსახელიანი გუნდი — „მერანი-ალაზანი" შვა.

ავჭალურ-კახური გუნდი საშინაო მატჩებს გურჯაანში გამართავს და სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტმა კალენდრის შედგენისას უკვე იზრუნა იმაზე, რომ ამ გუნდის და გურჯაანში მოთამაშე უმაღლესლიგელი „მილანის" საშინაო მატჩების განრიგი ერთმანეთს არ დაემთხვეს.

პირველლიგელია ახალშექმნილი „ლოკოც". ეს გუნდი „ლოკომოტივისგან" ოფიციალურად გამიჯნული კი არის, რადგან ცალკე შპს-ს სახით ჩამოყალიბდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „ლოკოს" პრეზიდენტი რკინიგზის შეფის, აკაკი ჩხაიძის ძმა გახლავთ, გამოდის, რომ ამ გუნდს სამი მოყვარე ეყოლება პირველ ლიგაში — სამტრედიის და თბილისის „ლოკომოტივები", ასევე გარკინიგზებული „გურია".

გუშინ სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტში მოწყობილმა კენჭისყრამ გუნდები ასე დააწყვილა:

**ლოკო — გურია**
**ჭაბუკები — მერანი-ალაზანი**
**სამტრედია — ოზურგეთი**
**თსუ — ლაზიკა**
**ცხინვალი — ძოზულეთი**
**სამგურალი — დინამო 2**
**ივერია — მცხეთა**
**ხობი — ლოკომოტივი 3**

ჩემპიონატი 4 სექტემბერს კი უნდა დაიწყოს, მაგრამ ჯერჯერობით განაცხადი სამონაწილეო ათი ათას ლართან ერთად მხოლოდ სამ გუნდს აქვს სფფ-ში წარდგენილი. ფედერაციაში ვარაუდობენ, რომ პირველი ტურის დაწყებამდე გუნდები ბოლომდე შეასრულებენ დებულების ყველა მოთხოვნას.

ჩემპიონატი ორ წრედ — ოცდაათ ტურად ჩატარდება. ბოლო სამ ადგილზე გასული გუნდები მომავალ სეზონში რეგიონულ ლიგაში ჩაინაცვლებენ, მოწინავე სამეული კი ყოველგვარი გადათამაშებების გარეშე მე-15 ეროვნულ ჩემპიონატს უმაღლეს ლიგაში შეხვდება.

**ბაატა ძგანტალიანი**

რეკლამა სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღთქმული ლიგა ანუ შალომ ისრაელ!




REUTERS

ებრაელები ლიგაში შესვლას ზეიმობენ

## ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE

მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

**ლიბერეცი** (ჩეხეთი) 2:1 ***მილანი*** *(იტალია)* (0:1)
0:1 ინძაგი (20), 1:1 სლეპიჩკა (46), 2:1 ლანგერი (88)
მილანი: დიდა, შიმიჩი, ლაურსენი, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო (დალა ბონა 83), ზეედორფი, რუი კოშტა (რივალდო 70), ინძაგი, ტომასონი (ამბროზინი 60)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაძევება: ლანგერი (90, ლიბერეცი)
მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)
8 740 მაყურებელი

**შტურმი** (ავსტრია) 3:3 ***მაკაბი*** *(ჰაიფა, ისრაელი)* (0:2)
1:0 ბოსნარი (11), 1:1 როსო (26), 2:1 საბიჩი (57), 3:1 ნოიკირხნერი (73), 3:2 კეისი (77), 3:3 ბადირი (90)
შტურმი: ვებერი, ნოიკირხნერი, როხასი (ვეტლი 46), მაელიხი (მელდეტი 60), შტრაფნერი, ანგანი, მასუდი, საბიჩი, ბოსნარი, დაგი, ამოა (პრეგელი 46)
დავით მუჯირი სათადარიგო იყო
მწვრთნელი: ივიცა ოსიმი
გაძევება: აიკებენი (68, მაკაბი), ბოსნარი (80, შტურმი)
მსაჯი: ალან შამერი (ლუქსემბურგი)
8 000 მაყურებელი

***აეკ*** *(საბერძნეთი)* 1:0 **აპოელი** (კვიპროსი) (3:2)
1:0 მ. რაიტი (58)

***ბრიუგე*** *(ბელგია)* 1:1 დ.დ. (პენ. 4:1, 1:1) **შახტარი** (უკრაინა) (1:1)
0:1 ვორობეი (13), 1:1 ნ. ჩეპი (76)

***დინამო*** *(უკრაინა)* 1:0 **ლევსკი** (ბულგარეთი) (1:0)
1:0 ჩერნატი (41)

***ნიუკასლი*** *(ინგლისი)* 4:0 **ჟელეზნიჩარი** (ბოსნია) (1:0)
1:0 დაიერი (23), 2:0 ლუა ლუა (37), 3:0 ვიანა (74), 4:0 შირერი (80)
გაძევება: ჯაბიჩი (70, ჟელეზნიჩარი)

***ლოკომოტივი*** *(რუსეთი)* 3:3 **გრაცერი** (ავსტრია) (2:0)
1:0 იგნაშევიჩი (6), 2:0 ევსეევი (32), 2:1 ნაუმოსკი (37), 3:1 პორტმანი (45პ.), 3:2 ბაზიმა (48), 3:3 აუფჰაუზერი (63)

**ბრონდბიუ** (დანია) 2:3 ***რუსენბორგი*** *(ნორვეგია)* (0:1)
0:1, 0:2 ფ. იონსენი (29, 62), 0:3 ბრატბაკი (78), 1:3 მ. იონსონი (80), 2:3 მადს იორგენსენი (83)

***ბაზელი*** *(შვეიცარია)* 2:0 **სელტიკი** (შოტლანდია) (1:3)
1:0 ხიმენესი (8), 2:0 მ. იაკინი (22)

**ლეგია** (პოლონეთი) 0:1 ***ბარსელონა*** *(ესპანეთი)* (0:3)
0:1 მენდიეტა (68პ)

***ოსერი*** *(საფრანგეთი)* 0:0 **ბოავიშტა** (პორტუგალია) (1:0)

**ფენერბაჰჩე** (თურქეთი) 0:2 ***ფეიენოორდი*** *(ჰოლანდია)* (0:1)
0:1 ონო (48), 0:2 ბუფელი (89)

**სპარტა** (ჩეხეთი) 4:2 ***გენკი*** *(ბელგია)* (0:2)
0:1 დაგანო (25), 1:1 ბობორსკი (56), 1:2 სონკო (57), 2:2, 3:2 იაროშიკი (59, 64), 4:2 მარეში (84)

***ბაიერნი*** *(გერმანია)* 3:1 **პარტიზანი** (იუგოსლავია) (3:0)
1:0 ბალაკი (26), 2:0 ელბერი (71), 2:1 ჩაკარი (72), 3:1 სალიჰამიჯიჩი (74პ)

***ინტერი*** *(იტალია)* 2:0 **სპორტინგი** (პორტუგალია) (0:0)
1:0 დი ბიაჯო (32), 2:0 რეკობა (44)

***მანჩესტერ იუნაიტედი*** *(ინგლისი)* 5:0 **ზალაეგერსეგი** (უნგრეთი) (0:1)
1:0 ვან ნისტელროი (6), 2:0 ბეკჰემი (15), 3:0 სკოულზი (21), 4:0 ვან ნისტელროი (76პ), 5:0 სოლსკიაერი (84)
გაძევება: ილიჩი (74, ზალაეგერსეგი)

**ჰაიფას** „მაკაბი“ პირველი ებრაული გუნდია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის კარი შეაღო.

შარშან „ჰაპოელმა“ დაამახსოვრა თავი ევროპას, როცა უეფას თასის მეოთხედფინალს უწია, ახლა კი „მაკაბიმ“ ებრაული საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში პირველი გვერდი გადაშალა. ეს ამბავი ავსტრიაში მოხდა, სადაც მემარჯვენე იორგ ჰაიდერს იქაურმა ებრაელებმა ფაშისტობაში დასდეს ბრალი.

„მაკაბის“ პირველი შეხვედრა ორბურთიანი სხვაობით ჰქონდა მოგებული. გრაცში „არნოლდ შვარცენეგერის“ სახელობის სტადიონზე. სტუმრებმა თავიდანვე დაცვას მიაქციეს ყურადღება, მაგრამ ედი ბოსნარმა უკვე მეთერთმეტე წუთზე აანერვიულა მოშხდურნი.

გალაღებულმა ავსტრიელებმა მარწუხებს მოუჭირეს, რათა მეორე გოლიც სწრაფად გამოეჩარხათ.

პირიქით კი მოხდა, მაკაბელმა ჯოვანი როსომ მასპინძლებს მალევე უპასუხა და პირველი ნახევარიც ფრედ დასრულდა.

შესვენებისას ივიცა ოსიმმა „შტურმი“ შტურმისთვის განაწყო. ფრანცისკო-ულისე როხარის და ჩარლზ ამოას ნაცვლად არნოლდ ვეტლი და მარტინ პრეგელი შეაგზავნა მოედანზე.

ცვლილებებმა უმალ იმოქმედა დამხვდურთა თამაშზე. დაახლოებით ნახევარ საათში ჯერ იმრე საბიჩმა გაიორა, მერე კი გიუნტერ ნოიკირხენმა გაასამა.

ამ ანგარიშით მაინც სტუმრების ფეხი რჩებოდა ლიგაში.

შეგულიანებული ავსტრიელები მეტოქეს საბოლოოდ მოსაშთობად მიაწვნენ.

აქ მოხდა ის, რაც არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე. ალორამ კეისმა და ვალიდ ბადერმა ცამეტწუთიან ინტერვალში თითო შეაგდეს, რითაც „შტურმის“ ჯაფა წყალს მისცეს.

„მაკაბის“ გამარჯვება მით უფრო დასაფასებელია, რომ სტუმრებს 68-ე წუთზე კაცი გაუგდეს.

იცხაკ შუმი: „თუ ვინმე ჩემპიონთა ლიგაში ყოფნას იმსახურებს, ეს ჰაიფას „მაკაბია“. კლუბის მეპატრონემ იაკობ შაჰარმა ყველაფერი გააკეთა საამისოდ“.

ჯოვანი როსი: „ჩემპიონთა ლიგაში თამაში ალბათ ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. ჩვენთვის ამ წარმატებას მრავალმხრივი დატვირთვა აქვს, რადგან ისრაელში ხალხს სიხარული სწყურია. ბედნიერები ვართ იმით, რომ გატანჯულ მოსახლეობას სიხარული ვაჩუქეთ“.

არც ჩეხურ „ლიბერეცს“ დაუკარგავს ფორმა. გაალმასებული ებდლვნენ „შავწითლებს“. „მილანმა“ მასპინძელთა ზეწოლას ანჩელოტისებურად გაუძლო და იქით დაიწყო შეტევებზე ფიქრი. ერთერთი კონტრშეტევისას რუი კოშტამ „ჩასაფრებულ“ ინძაგის მიუცუნცულა ბურთი. ინძაგის არ გასჭირვებია ჩეხთა მეკარის დაჯაბნა და ცაციათი კუთხეში გამოზომილად დაჰკრა.

შესვენებიდან დაბრუნებულ გუნდებს მუხლი წესიერად არ გაეშალათ, რომ მიროსლავ სლეპიჩკამ დიდას აუღებელი თავური დაურტყა.

„ლიბერეცს“ შანსი მიეცა, რისთვისაც გაისარჯნენ კიდეც, ოღონდ გოლის გატანა დევიდ ლანგერმა მატჩის მიწურულსღა მოახერხა. სლოვანელებს დრო აღარ ეყოთ მესამეს გასატანად, რადგან ესპანელი არბიტრის სასტვენმა შეხვედრის დასრულებისა დაუსტვინა.

ბოლო ოცი წუთის განმავლობაში იბურთავა რივალდომ, რომელმაც რუი კოშტა შეცვალა, თუმცა მთლად საუკეთესო ფორმაში ჯერჯერობით არაა. ისე კი, მისთვის ჩვეული ერთი პასი მაინც გაუხერხა თანაგუნდელს.

კარლო ანჩელოტი: „გუნდის თამაში ჯერ კიდევ დასახვეწია. ბოლო წუთებზე მართლაც ძალიან გაგვიჭირდა. იმედი მაქვს, ჯგუფურ ეტაპზე თამაშის ხარისხს გავაუმჯობესებთ. რაც შეეხება რივალდოს, მას პრაქტიკა აკლია, თუმცა ეს მთლად მისი ბრალი სულაც არაა“.

ლადისლავ იაკორპილი: „ჩვენ ბრწყინვალედ ჩავატარეთ შეხვედრა. ვამაყობ ჩემი ბიჭებით, სულ ცოტა დაგვაკლდა მესამე გოლის გასატანად, თუმცა გამარჯვება „მილანთან“, თუნდაც ასეთი ანგარიშით, სასიხარულოა“ —

ბაზელში, სადაც მომავალ კვირას საქართველოს შვეიცარია ელის, შვეიცარიელთა ნაკრების სამმა წევრმა ითამაშა „სელტიკის“ წინააღმდეგ. „ბაზელმა“ პირველივე ტაიმში ორჯერ შეაგორა ბურთი „სელტიკის“ კარში, რითაც მოამთავრა კიდეც საქმე. ასე რომ, შოტლანდიის ლიგაში სხვათა გუნდების ყურება მოუწევს.

ნაკრების წევრებზეც ვთქვათ. პასკალ ცუბერბიულერმა მშრალად შეინახა კარი, მურატ და ჰაკან იაკინებმა კარგად ითამაშეს, ჰაკანის ანგარიშზე კი მეორე გოლია.




REUTERS

ბაზელი — სელტიკი. კრისტიან ხიმენესის (მარცხნივ) პირველმა გოლმა შვეიცარიელთა ლიგაში გასვლა გაადვილა

ძალიან ახლოს იყო მიზანთან დონეცკის „შახტარი“. ანდრეი ვორობეიმ ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით დენი ვერლინდენს მეცამეტე წუთზევე გამოატანინა ბურთი კარიდან. ეს ანგარიში მალაროელებს ხელს აძლევდათ და მის შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ.

მეორე ტაიმში, შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე, ტრონდ სოლიერმა ერთი ისეთი შეცვლა გამოიცნო, რომ მატჩი გადაარჩინა. ნასტია ჩეპის მოედანზე შესვლა და გოლი ერთი იყო.

ამის შემდეგ მეტოქეებმა აღარ გარისკეს. თამაში დამატებით დროში გადაიწელა და საქმე თერთმეტმეტრიანების სერიამდე მივიდა.

„ბრიუგე“ დენი ვერლანდენს უნდა უმადლოდეს, რომელმაც ვორობეის და პესტრიაკოვს აჯობა და „გენკს“ გვერდით მეორე ბელგიური გუნდი მოუსვა ჩემპიონთა ლიგაში.

ტრონდ სოლიედი: „მეკარემ გადაგვარჩინა. ვერლანდენი ყველაზე ასაკოვანია ბელგიის ლიგაში და ის დღევანდელი მატჩის გმირია. „შახტარმა“ აქ გაცილებით უკეთესად ითამაშა, ვიდრე დონეცკში. გაშვებული გოლის შემდეგ იძულებულნი გავხდით, გათანაბრებაზე გვეფიქრა, რაც გაგვიჭირდა, რადგან „ბრიუგე“ უფრო კონტრიერიშების გუნდია. მიუხედავად ამისა, გაგვიმართლა, რადგან თერთმეტმეტრიანების სერია, რაც უნდა იყოს, ლატარიაა“.

ნევიო სკალა: „რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი, თუმცა ჩემი გუნდი ნამდვილად იმსახურებდა ჩემპიონთა ლიგაში თამაშს“.

უკვე ზედიზედ მერამდენე სეზონია, ტრონჰეიმის „რუსენბორგი“ უძლიერესთა შორის იმკვიდრებს ადგილს. „რუსენბორგმა“ ერთი რამ ნამდვილად ისწავლა — როგორ შეყოს ცხვირი ლიგაში.

მატჩის დასრულებამდე ჩვიდმეტი წუთით ადრე ორბურთიანი სხვაობით ნორვეგიელები იგებდნენ. მერე სამი გოლი გავიდა აქეთ-იქით, თუმცა „როსენბორგი“ საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა.

მიქაელ ლაუდრუპმა ნამატჩევს თავისი ფეხბურთელების გამოუცდელობაზე დაიჩივლა: „უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ გამოუცდელობის ბრალია, რომ ვერ გამოვიყენეთ. მით უმეტეს, ისეთ გუნდთან, როგორც „რუსენბორგია“, ბევრს ვერ გაიტან, თუმც მჯერა, მომავალ წელს მოვახერხებთ იმას, რაც ახლა ვერ შევძელით. ამის თქმის საბაბს გუნდის პოტენციალი მაძლევს“.

„დინამოს“ არ გასჭირვებია სოფიაში დაწყებული საქმის კიევში დაგვირგვინება. რუმინელმა ფორვარდმა ჩერნატმა მშვენიერი გოლი გაუტანა „ლევსკის“ პირველი ნახევრის მიწურულს და ამის შემდეგ ანგარიში აღარც შეცვლილა. ვიტალი რევამ შეხვედრის მიღეულს თერთმეტმეტრიანიც მოიგერია და საერთოდ, კიეველთა მეკარემ არაერთხელ იყოჩაღა.

ჩემპიონთა ლიგაში დაბინავდება მოსკოვის „ლოკომოტივიც“. რკინიგზელებმა დასაწყისშივე მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობა კინაღამ ქარს გაატანეს, მაგრამ მესამე გაშვებული გოლის შემდეგ გონს მოვიდნენ.

აღსანიშნავი კი ამ მატჩში მოსკოველთა ახალწვეულის, ჟულიო სეზარას კარგი თამაში იყო.

**გაგა ხუციშვილი**



REUTERS

ბრიუგე — შახტარი. კოენი ბარტქმულე: ბელგიელთა მეკარე დენი ვერლანდენი შუბლზე ამბორს ნაღდად იმსახურებდა

# ჩემპიონთა ლიგა 2002-2003. პირველი ჯგუფური ეტაპი

## A ჯგუფი

**დორტმუნდი** გერმანია

**ოსერი** საფრანგეთი

**პსვ ეინდჰოვენი** ჰოლანდია

**არსენალი** ლონდონი, ინგლისი

I ტური, 17.09.2002
ოსერი – პსვ ეინდჰოვენი
არსენალი – დორტმუნდი
II ტური, 25.09.2002
დორტმუნდი – ოსერი
პსვ ეინდჰოვენი – არსენალი
III ტური, 02.10.2002
პსვ ეინდჰოვენი – დორტმუნდი
ოსერი – არსენალი

IV ტური, 22.10.2002
დორტმუნდი – პსვ ეინდჰოვენი
არსენალი – ოსერი
V ტური, 30.10.2002
პსვ ეინდჰოვენი – ოსერი
დორტმუნდი – არსენალი
VI ტური, 12.11.2002
ოსერი – დორტმუნდი
არსენალი – პსვ ეინდჰოვენი

## B ჯგუფი

**სპარტაკი** მოსკოვი, რუსეთი

**ვალენსია** ესპანეთი

**ლივერპული** ინგლისი

**ბაზელი** შვეიცარია

I ტური, 17.09.2002
ვალენსია – ლივერპული
ბაზელი – სპარტაკი
II ტური, 25.09.2002
სპარტაკი – ვალენსია
ლივერპული – ბაზელი
III ტური, 02.10.2002
ლივერპული – სპარტაკი
ვალენსია – ბაზელი

IV ტური, 22.10.2002
სპარტაკი – ლივერპული
ბაზელი – ვალენსია
V ტური, 30.10.2002
ლივერპული – ვალენსია
სპარტაკი – ბაზელი
VI ტური, 12.11.2002
ვალენსია – სპარტაკი
ბაზელი – ლივერპული

## C ჯგუფი

**რეალი** მადრიდი, ესპანეთი

**გენკი** ბელგია

**აეკ** ათენი, საბერძნეთი

**რომა** რომი, იტალია

I ტური, 17.09.2002
გენკი – აეკ
რომა – რეალი
II ტური, 25.09.2002
რეალი – გენკი
აეკ – რომა
III ტური, 02.10.2002
აეკ – რეალი
გენკი – რომა

IV ტური, 22.10.2002
რეალი – აეკ
რომა – გენკი
V ტური, 30.10.2002
აეკ – გენკი
რეალი – რომა
VI ტური, 12.11.2002
გენკი – რეალი
რომა – აეკ

## D ჯგუფი

**ლიონი** საფრანგეთი

**რუსენბორგი** ტრონდჰეიმი, ნორვეგია

**ინტერი** მილანი, იტალია

**აიაქსი** ჰოლანდია

I ტური, 17.09.2002
რუსენბორგი – ინტერი
აიაქსი – ლიონი
II ტური, 25.09.2002
ლიონი – რუსენბორგი
ინტერი – აიაქსი
III ტური, 02.10.2002
ინტერი – ლიონი
რუსენბორგი – აიაქსი

IV ტური, 22.10.2002
ლიონი – ინტერი
აიაქსი – რუსენბორგი
V ტური, 30.10.2002
ინტერი – რუსენბორგი
ლიონი – აიაქსი
VI ტური, 12.11.2002
რუსენბორგი – ლიონი
აიაქსი – ინტერი

## E ჯგუფი

**ნიუკასლი** ინგლისი

**ფეიენოორდი** როტერდამი, ჰოლანდია

**იუვენტუსი** ტურინი, იტალია

**დინამო** კიევი, უკრაინა

I ტური, 18.09.2000
ფეიენოორდი – იუვენტუსი
დინამო – ნიუკასლი
II ტური, 24.09.2002
ნიუკასლი – ფეიენოორდი
იუვენტუსი – დინამო
III ტური, 01.10.2002
იუვენტუსი – ნიუკასლი
ფეიენოორდი – დინამო

IV ტური, 23.10.2002
ნიუკასლი – იუვენტუსი
დინამო – ფეიენოორდი
V ტური, 29.10.2002
იუვენტუსი – ფეიენოორდი
ნიუკასლი – დინამო
VI ტური, 13.11.2002
ფეიენოორდი – ნიუკასლი
დინამო – იუვენტუსი

## F ჯგუფი

**ლევერკუზენი** გერმანია

**მანჩესტერ იუნაიტედი** ინგლისი

**მაკაბი** ჰაიფა, ისრაელი

**ოლიმპიაკოსი** პირეოსი, საბერძნეთი

I ტური, 18.09.2002
მანჩესტერი – მაკაბი
ოლიმპიაკოსი – ლევერკუზენი
II ტური, 24.09.2002
ლევერკუზენი – მანჩესტერი
მაკაბი – ოლიმპიაკოსი
III ტური, 01.10.2002
მაკაბი – ლევერკუზენი
მანჩესტერი – ოლიმპიაკოსი

IV ტური, 23.10.2002
ლევერკუზენი – მაკაბი
ოლიმპიაკოსი – მანჩესტერი
V ტური, 29.10.2002
მაკაბი – მანჩესტერი
ლევერკუზენი – ოლიმპიაკოსი
VI ტური, 13.11.2002
მანჩესტერი – ლევერკუზენი
ოლიმპიაკოსი – მაკაბი

## G ჯგუფი

**ლანსი** საფრანგეთი

**ბაიერნი** მიუნხენი, გერმანია

**დეპორტივო** ლა კორუნია, ესპანეთი

**მილანი** იტალია

I ტური, 18.09.2002
ბაიერნი – დეპორტივო
მილანი – ლანსი
II ტური, 24.09.2002
ლანსი – ბაიერნი
დეპორტივო – მილანი
III ტური, 01.10.2002
დეპორტივო – ლანსი
ბაიერნი – მილანი

IV ტური, 23.10.2002
ლანსი – დეპორტივო
მილანი – ბაიერნი
V ტური, 29.10.2002
დეპორტივო – ბაიერნი
ლანსი – მილანი
VI ტური, 13.11.2002
ბაიერნი – ლანსი
მილანი – დეპორტივო

## H ჯგუფი

**ბრიუგე** ბელგია

**ლოკომოტივი** მოსკოვი, რუსეთი

**გალათასარაი** სტამბოლი, თურქეთი

**ბარსელონა** ესპანეთი

I ტური, 18.09.2002
ლოკომოტივი – გალათასარაი
ბარსელონა – ბრიუგე
II ტური, 24.09.2002
ბრიუგე – ლოკომოტივი
გალათასარაი – ბარსელონა
III ტური, 01.10.2002
გალათასარაი – ბრიუგე
ლოკომოტივი – ბარსელონა

IV ტური, 23.10.2002
ბრიუგე – გალათასარაი
ბარსელონა – ლოკომოტივი
V ტური, 29.10.2002
გალათასარაი – ლოკომოტივი
ბრიუგე – ბარსელონა
VI ტური, 13.11.2002
ლოკომოტივი – ბრიუგე
ბარსელონა – გალათასარაი

# მდუღარე ქვაბში სუნესი მოხარშეს



REUTERS ლიდსი — სანდერლენდი. ფილ ბებიმ მასპინძელ იან ჰარტს დაუფარა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. III ტური

**ბლეკბერნი 2:2 ლივერპული**

1:0 დანი (16), 1:1 მერფი (31), 1:2 რიისე (77), 2:2 გრაბი (83)
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნაილი, შორტი (გრაბი 82), ტეილორი, იოჰანსონი, დანი, ფლიტკროფტი, თუგაი, დაფი, იორკი, ენდი კოული
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ლივერპული: დუდეკი, შაფიერი, ჰიპია, ანრი, ტრაორე, მერფი, ჯერარდი, ჰამანი, რიისე (დიაო 87), დიუფი (სმიცერი 64), ოუენი (ჰესკი 64)
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: კოული, გრაბი, იორკი, მერფი
მსაჯი: ბენეტი
29 207 მაყურებელი

**ასტონ ვილა 1:0 მანჩესტერ სიტი**

1:0 ვასელი (64)
ასტონ ვილა: ენკელმანი, დილანი, მელბერგი, სტონტონი, რაიტი (სამუელი 46), ჰენდრი, კონელა, ბერი, ანჯელი (ოლბოკი 88), ვასელი, კრუში
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
მანჩესტერ სიტი: შმაიხელი, ჯეხაი, ჰოუე, დისტინი, რაიტ-ფილიპსი, ბენარბია, ფოუ, ბერკოვიჩი (ტიატო 67), ილსენი, ანელკა, ჰაკერბი (გოტერი 80)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: ბერი, ფოუ, ჰოუე, ჯეხაი
მსაჯი: ბარი
33 494 მაყურებელი

**ევერტონი 1:1 ბირმინგემი**

0:1 ჯონი (50პ), 1:1 ანსუორთი (90)
ევერტონი: სიმონსენი, პაისტერი, ვეირი, სტაბსი, ნისმიტი (როდრიგო 85), გრაველსენი, ტიუ, ანსუორთი, რაძინსკი, ქ. კემბელი, როონი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ბირმინგემი: ვესენი, ტებილი (კენა 35), კანინგემი, პარსი, გრაინჯერი, დ. ჯონსონი, სევიჯი, სისე, ჰიუზი (კარტერი 70), ჰორსფილდი (მორისონი 81), ჯონი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: ჯონსონი, სევიჯი, ჰიუზი
გაძევება: სტაბსი (90)
მსაჯი: ულსტენჰოლმი
37 197 მაყურებელი

**ლიდსი 0:1 სანდერლენდი**

0:1 მაკატირი (46)
ლიდსი: რობინსონი, მილსი, რადებე, მატეო, ჰარტი, ბოიერი, ბაკე (დაკური 54), ბარმბი (რობი კინი 54), კიუელი, ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: ტერი ვენებლზი
სანდერლენდი: სორენსენი, რაიტი, ბები, ბიორკლუნდი, გრეი, პიპერი (არკა 75), მაკატირი, რეინა, ტირლველი, ბატლერი, ფილიპსი (კაილი 77)
მწვრთნელი: პიტერ რიდი
გაფრთხილება: ბოიერი, დაკური
მსაჯი: პოლსი
39 929 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 1:1 ჩელსი**

1:0 ფერნანდესი (61), 1:1 ლამპარდი (80)
საუთჰემპტონი: ჯოუნსი, ტელფერი, მაიკლ სვენსონი, უილიამსი, ბრიჯი, ფერნანდესი, მარსდენი, ა. სვენსონი, დელაპი, ბიტი, პახარსი (ტესემი 70; ორმეროდი 86)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, დესაი, გალასი, ბაბაიარო, დე ლუკასი, ლამპარდი, გრონკიაერი, ზენდენი (სტანიჩი 85), ჰასელბაინკი (გუდიონსენი 46), ძოლა
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: მ. სვენსონი, ტელფერი, ბაბაიარო, გრონკიაერი
მსაჯი: ფოი
31 208 მაყურებელი



მიბრძანდით სერ: გრემ სუნესი მოედნიდან გააძევეს

**„არსენალმა“** ლიდერობა შეინარჩუნა, იმიტომ, რომ „სანდერლენდმა“, როგორც იქნა, გატეხა უიღბლობის ბოქლომით გადარაზული კარი და გაიტანა სეზონის პირველი გოლი — ჯეისონ მაკატირის ეს გოლი გამოდგა გამარჯვებისა „ელანდ როუდზე“, ხოლო „ლიდსი“, აქამდე ორი ეფექტური მოგებით ხელდამშვენებული, შინ დამარცხდა ამ ჩრდილოელ შავ კატებთან, რაც 41 წელიწადია, არ მომხდარა სტადიონზე.

„ლიდსს“ გათანაბრებაც შეეძლო და წინ გასვლაც, მაგრამ ეს ყველაფერი გრამაფონში დარჩა. მეთოფენი ლიდერებად დარჩნენ იმიტომაც, რომ ბლეკბერნის „ივუდ პარკზე“ შეცვლაზე შესულმა კორადო გრაბიმ პირველივე შეხებით, სხვაგვარად კი ტყვიასავით თავურით გაუტანა ირჟი დუდეკს და „ბლეკბერნმა“ ქულა აართვა „ლივერპულს“.

ეს იყო საუცხოო თამაში. ჟერარ ულიემ თქვა, რომ კარგა ხანია, ასეთი ჭიდილი არ უნახავს. დემიენ დაფმა თავისი ფრთა აიკლო და აბელ შავიერი დატანჯა, რასაც დევიდ დანის გამხსნელი გოლი მოჰყვა. მერე თავად აბელმა ჩააწოდა დენი მერფის და ანგარიში გათანაბრდა. შეხვედრის დასრულებამდე თხუთმეტი წუთი რჩებოდა, როცა იონ არნე რიისემ თითქოსდა გადაწყვიტა მატჩის ბედი, მაგრამ 82-ე წუთზე მოედანზე გრაბი შევიდა.

ეს იყო მდუღარე ქვაბი და მოედნიდან ერთადერთი კაცი, ბლეკბერნელთა მენეჯერი გრემ სუნესი გააძევეს. სუნესი ალაშფოთა ემილ ჰესკის უხეშმა ილეთმა და მსაჯის სტივ ბენეტის უმოქმედობამ.

„ჩემი გაძევება იყო მსაჯის ერთადერთი სწორი საქციელი ამ საღამოს“ — თქვა სუნესმა თამაშის შემდეგ.

„ლივერპული“ კი ცხრილის მეორე საფეხურს დასჯერდა, „არსენალთან“ უარესი და „ტოტენჰემთან“ უკეთესი ბურთების წყალობით.

ზედიზედ მეორე ფრე ითამაშა „ჩელსიმ“, ამჯერად საუთჰემპტონში, სადაც მასპინძლებმა სეზონის პირველი გოლი გაიტანეს. სეზონის პირველი გოლი და პირველი გამარჯვება მოიპოვა „ასტონ ვილამაც“, რომელმაც უგო ეჰიოგუს გოლით სძლია „სიტის“.

„ევერტონი“ კი კვლავაც დარჩა მიმდინარე პრემიერლიგის ცხრათაგან ერთ-ერთ დაუმარცხებელ გუნდად. იგი შინ, ლამის მთელ თამაშს აგებდა ბირმინგემელებისგან გატანილი პენალტის შემდეგ, რასაც წინ ალან სტაბსის გაძევება უძღოდა, მაგრამ თამაშის მიწურულს დევიდ ანსუორთმა მაინც შეტენა ბურთი კარში.

**ირაკლი ბაგურელიძე**

| № | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 არსენალი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 5 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 2 ლივერპული | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 3 ტოტენჰემი | 3 | 2 | 1 | 0 | 2:0 | 2 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 4 ლიდსი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 |
| 5 ჩელსი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:5 | 1 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 1 | 4 |
| 6 ბლეკბერნი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 7 ევერტონი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 1 | 5 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 8 ფულემი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 9 მანჩესტერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 10 სანდერლენდი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 0 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 11 ნიუკასლი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 12 ჩარლტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | -1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 13 ასტონ ვილა | 3 | 1 | 0 | 2 | 1:2 | -1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 14 სიტი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 15 მიდლსბრო | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 16 საუთჰემპტონი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:4 | -3 | 2 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 17 ბირმინგემი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 18 ვესტ ჰემი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | -4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 19 ბოლტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 20 ვესტ ბრომვიჩი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | -6 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | -2 | 0 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 |

### I დივიზიონი. V ტური

**ნოტინგემი 2:0 უიმბლდონი**

1:0, 2:0 ჯონსონი (16, 45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:3 | 13 |
| ვულვზი | 5 | 3 | 2 | 0 | 12:4 | 11 |
| როტერჰემი | 5 | 3 | 2 | 0 | 11:3 | 11 |
| ნორვიჩი | 5 | 3 | 2 | 0 | 9:2 | 11 |
| ჯილინგემი | 5 | 3 | 1 | 1 | 4:2 | 10 |
| ქოვენთრი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:7 | 10 |
| ლესტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 6:7 | 10 |
| შეფილდი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| იფსვიჩი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:4 | 7 |
| ნოტინგემი | 5 | 2 | 1 | 2 | 9:6 | 7 |
| უოტფორდი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:9 | 7 |
| უოლსოლი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| პრესტონი | 5 | 1 | 3 | 1 | 8:8 | 6 |
| ბრედფორდი | 5 | 1 | 3 | 1 | 4:4 | 6 |
| რედინგი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | 6 |
| დერბი ქაუნთი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | 6 |
| სტოკი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:7 | 5 |
| კრისტალ პალასი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ბრაიტონი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| უიმბლდონი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | 4 |
| უენსდი | 5 | 0 | 2 | 3 | 4:10 | 2 |
| გრიმსბი | 5 | 0 | 2 | 3 | 1:7 | 2 |
| მილუოლი | 5 | 0 | 2 | 3 | 2:11 | 2 |
| ბარნლი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:10 | 0 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვილტორდი (არსენალი) | 4 |
| დიუფი (ლივერპული) | 2 |
| ანრი (არსენალი) | 2 |
| ლამპარდი (ჩელსი) | 2 |
| ლეგვინსკი (ფულემი) | 2 |
| ლუა ლუა (ნიუკასლი) | 2 |
| მაკარონე (მიდლსბრო) | 2 |
| ვიდუკა (ლიდსი) | 2 |
| რიისე (ლივერპული) | 2 |

### IV ტური

31 აგვისტო
ბირმინგემი — ლიდსი
ვესტ ჰემი — ჩარლტონი
ბოლტონი — ასტონ ვილა
მანჩესტერ სიტი — ევერტონი
მიდლსბრო — ბლეკბერნი
სანდერლენდი — მანჩესტერი
ტოტენჰემი — საუთჰემპტონი
ვესტ ბრომვიჩი — ფულემი

1 სექტემბერი
ჩელსი — არსენალი

2 სექტემბერი
ლივერპული — ნიუკასლი

# გვაცალეთ, ბატონო, გვაცალეთ!

**ერთი თვეა,** რაც არგენტინის გამხსნელი ჩემპიონატი აპერტურა დაიწყო და ორი მწვრთნელი უკვე გამოეთხოვა თანამდებობას, ორიც დღე-დღეზე ელის განთავისუფლებას.

„რასინგის“ თავკაცი ოსვალდო არდილესი, რომლის გუნდმაც ზედიზედ სამი თამაში წააგო, პარასკევს „ნუევო ჩიკაგოსთან“ შეხვედრის შემდეგ გაიგებს, რჩება, თუ მიდის. იქაური გაზეთები უკვე წერენ, რომ არდილესს მიგელ ანხელ ბრინდიზი, „ურაკანის“ ყოფილი მწვრთნელი შეცვლის.

მეორე ბეწვზე დაკიდული კაცი „ესტუდიანტესის“ მწვრთნელი ოსკარ კრავიოტოა, რომელმაც „რივერ პლეიტთან“ 0:6-ის წაგების შემდეგ თქვა, გადავდგებიო, მაგრამ ფეხბურთელთა და კლუბის თავკაცთა თხოვნით დარჩა. თუმცა, ერთი წაგებაც და კრავიოტო წავა.

ნახსენები ბრინდიზი ერთი კვირის წინათ გადადგა „ურაკანის“ მწვრთნელობიდან სეზონის ურიგო დაწყების გამო. ამავე მიზეზით გამოეთხოვა თანამდებობას „ლანუსის“ თავკაცი ოსკარ კორდობა.

არდილესი ორწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა არგენტინულ ფეხბურთს და წარუმატებლობის მიუხედავად „რასინგის“ კაპიტნის, კლაუდიო უბედასა და ფეხბურთელების მხარდაჭერა აქვს.

„უკვე ასახელებენ ჩემს შემცვლელს. მე ვიცი ფეხბურთის წესები“, ამბობს არდილესი. „მიხარია, რომ ოსვალდო სამშობლოში მუშაობს, ვწუხვარ, რომ სეზონი უიღბლოდ დაიწყო“ — ამბობს ლუის მენოტი, რომელიც არდილესის მწვრთნელი იყო მაშინ, როცა არგენტინის ნაკრები პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და რომლის „როსარიომაც“ 4:0 მოუგო „რასინგს“ წინა კვირაში.

კარლოს გრიგული, არგენტინის ერთ-ერთი ავტორიტეტული მწვრთნელი ამბობს, რომ მწვრთნელთა ხშირი ცვლა არგენტინული ფეხბურთის ისტორიული ავადმყოფობაა. „ორ თამაშს წააგებ და გიშვებენ. ეს გლლის. ამიტომაც, არა მაქვს სურვილი, რომ საქმეს ხელი მოვკიდო. ჩვენთან გრძელვადიანი გეგმები არ არის. გუნდი ხვალისთვის არ იქმნება. ზოგჯერ წამოიწყებენ, მაგრამ მერე ეხარებათ, ყველაფერი ერთ კონკრეტულ დღეზეა დამოკიდებული.“

ამის დასტურად „სან ლორენცოს“ მწვრთნელი რუბენ ინსუაც გამოდგება. მისმა გუნდმა სამ ტურში სამი ქულა აიღო და ინსუაც სამსახურს კარგავდა, მაგრამ „სან ლორენცომ“ „ბანფილდს“ მოუგო, „ბოკასთან“ სტუმრად ფრე ითამაშა და მწვრთნელიც დატოვეს.

**ილდერალდო ლუის სანფელიჩე**

## ჩეხეთი

გადადებული მატჩი: პრშიბრამი — სლავია 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 12 |
| ლიბერეცი | 4 | 3 | 1 | 0 | 4:0 | 10 |
| იაბლონეცი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:3 | 10 |
| სლავია | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| ძლინკოვი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ბრნო | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ბლშანი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ბუდეიოვიცე | 4 | 2 | 0 | 2 | 7:8 | 6 |
| სიგმა | 4 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 5 |
| ბანიკი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 4 |
| პრშიბრამი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |
| ზლინი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:4 | 3 |
| ტეპლიცე | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | 3 |
| ჰ. კრალოვე | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 2 |
| სინოტი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |
| ბოჰემიანსი | 4 | 0 | 0 | 4 | 5:11 | 0 |

## შვედეთი

გადადებული მატჩი: ჰამარბი — ჰელსინგბორგი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალმიო | 17 | 10 | 2 | 5 | 37:24 | 32 |
| იორგრიტე | 17 | 8 | 8 | 1 | 33:23 | 32 |
| ლანდსკრონა | 17 | 8 | 4 | 5 | 35:25 | 28 |
| იურგორდენი | 17 | 8 | 4 | 5 | 29:23 | 28 |
| იორებრო | 17 | 7 | 5 | 5 | 22:23 | 26 |
| სუნდსვალი | 17 | 5 | 8 | 4 | 18:17 | 23 |
| ჰელსინგბორგი | 17 | 6 | 5 | 6 | 23:26 | 23 |
| ჰამარბი | 17 | 5 | 6 | 6 | 30:29 | 21 |
| აიკ | 17 | 4 | 8 | 5 | 23:26 | 20 |
| ელფსბორგი | 17 | 5 | 5 | 7 | 17:23 | 20 |
| გოტებორგი | 17 | 6 | 2 | 9 | 16:24 | 20 |
| ჰალმსტადი | 17 | 3 | 8 | 6 | 18:21 | 17 |
| ნორჩიოპინგი | 17 | 3 | 6 | 8 | 20:23 | 15 |
| კალმარი | 17 | 3 | 5 | 9 | 11:25 | 14 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს“ აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამივე ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გერმანია. რეგიონალლიგა. (ჩრდილოეთი) VI ტური. 31 აგვისტო | | | | | | |
| 17.00 | 007 | პადერბორნი(მ)-მიუნსტერი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 17.00 | 008 | ფერლი-ვატენშაიდი | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,55 |
| 17.00 | 009 | ოსნაბრიუკი-ურდინგენი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 17.00 | 010 | დორტმუნდი-ვისმარი | 3,0 | 3,2 | 2,2 | 1,54 | 1,26 | 1,3 |
| | | გერმანია. რეგიონალლიგა. (სამხრეთი) VIII ტური. 31 აგვისტო | | | | | | |
| 17.30 | 011 | ნიურნბერგი-ელვერსბერგი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| | | ინგლისი. პრემიერლიგა. IV ტური. 31 აგვისტო | | | | | | |
| 16.00 | 021 | ბირმინგემი-ლიდსი | 4,0 | 3,2 | 1,8 | 1,77 | 1,24 | 1,15 |
| 19.00 | 022 | ბოლტონი-ევერტონი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 023 | მიდლსბრო-ბლეკბერნი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 19.00 | 024 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 5,3 | 3,5 | 1,55 | 2,1 | 1,19 | 1,07 |
| 19.00 | 025 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 026 | ვესტ ბრომვიჩი-ფულჰემი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 027 | ვესტ ჰემი-ჩარლტონი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 18.00 | 028 | ბოლტონი-ასტონ ვილა | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 20.05 | 029 | ჩელსი-არსენალი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 24.00 | 030 | ლივერპული-ნიუკასლი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| | | ინგლისი. I დივიზიონი. VI ტური. 31 აგვისტო | | | | | | |
| 16.00 | 038 | დერბი-სტოკი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 19.00 | 039 | ბრედფორდი-როტერჰემი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 040 | ბერნლი-კრისტალ პალასი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 041 | ლესტერი-ჯილინგემი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 042 | მილუოლი-გრიმსბი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 19.00 | 043 | ნორვიჩი-უოტფორდი | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,22 | 1,93 |
| 19.00 | 044 | პორტსმუთი-ბრაიტონი | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |
| 19.00 | 045 | უოლსოლი-რედინგი | 2,1 | 3,3 | 3,1 | 1,28 | 1,25 | 1,59 |
| 19.00 | 046 | უიმბლდონი-ვოლვერჰემპტონი | 3,4 | 3,2 | 2,0 | 1,64 | 1,25 | 1,23 |
| 21.35 | 047 | ქოვენთრი-ნოტინგემი | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | .1,22 | 1,85 |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 16.00 | 048 | იფსვიჩი-შეფილდი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 18.00 | 049 | პრესტონი-იფსვიჩი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| | | ინგლისი. II დივიზიონი. VI ტური. 31 აგვისტო | | | | | | |
| 19.00 | 053 | ბრისტოლი-ტრანმერი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 054 | ჩესტერფილდი-კარდიფი | 3,3 | 3,3 | 2,0 | 1,65 | 1,24 | 1,24 |
| 19.00 | 055 | კოლჩესტერი-უიგანი | 3,2 | 3,2 | 2,1 | 1,6 | 1,26 | 1,26 |
| 19.00 | 056 | ჰადერსფილდი-ბლექპული | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 057 | ლუტონი-ჩელტენჰემი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| 19.00 | 058 | მენსფილდი-ქრიუ | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 059 | ნორთჰემპტონი-ბარნსლი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 060 | ნოტსი-ბრენტფორდი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 061 | ოლდჰემი-უიკომბი | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 |
| 19.00 | 062 | პორტ ვეილი-პიტერბორო | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 063 | ქუინზ პარკი-პლიმუთი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 19.00 | 064 | სუინდონი-სტოკპორტი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| | | ინგლისი. III დივიზიონი. VI ტური 31 აგვისტო | | | | | | |
| 19.00 | 069 | ბოსტონი-ბერი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 070 | კემბრიჯი-რაშდენი | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 |
| 19.00 | 071 | კარლაილი-ექსეტერი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 072 | ჰალი-ლეიტონი | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 19.00 | 073 | კიდერმინსტერი-დარლინგტონი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 19.00 | 074 | მაკლსფილდი-ბორნმუთი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 075 | ოქსფორდი-ჰარტლპული | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| 19.00 | 076 | როჩდეილი-საუთენდი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 19.00 | 077 | სკანთორპი-როვერსი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 19.00 | 078 | შრუსბერი-ლინკოლნი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 19.00 | 079 | სუონსი-იორკი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| 19.00 | 080 | ტორკი-რექსემი | 2,4 | 3,2 | 2,6 | 1,37 | 1,24 | 1,43 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი. I ტური 31 აგვისტო | | | | | | |
| 23.30 | 102 | რასინგი-ვალიადოლიდი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 22.00 | 103 | რაიო-ალავესი | 2,3 | 3,1 | 2,9 | 1,32 | 1,28 | 1,49 |
| 22.00 | 104 | სოსიედადი-ბილბაო | 2,25 | 2,9 | 3,2 | 1,26 | 1,32 | 1,52 |
| 23.30 | 105 | ვილიარეალი-ოსასუნა | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 23.00 | 106 | მალიორკა-ვალენსია | 2,7 | 3,1 | 2,4 | 1,44 | 1,27 | 1,35 |
| 23.30 | 107 | უელვა-მალაგა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 24.00 | 108 | ბარსელონა-ატლეტიკო | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| | 109 | ბარსელონა-ატლეტიკო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 | | | |
| 24.00 | 110 | დეპორტივო-ბეტისი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 00.30 | 111 | სელტა-სევილია | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,33 | 1,29 | 1,44 |
| | | 2 სექტემბერი | | | | | | |
| 00.30 | 112 | რეალი-ესპანიოლი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 |
| | 113 | რეალი-ესპანიოლი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 | | | |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი. I ტური. 31 აგვისტო | | | | | | |
| 22.00 | 114 | ხეტაფე-ლევანტე | 2,2 | 2,8 | 3,4 | 1,23 | 1,33 | 1,53 |
| 22.00 | 115 | ტერასა-ალბასეტე | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 |
| 23.00 | 116 | ლას პალმასი-ფეროლი | 1,65 | 3,0 | 5,6 | 1,06 | 1,27 | 1,95 |
| 00.30 | 117 | ელჩე-ხერესი | 2,0 | 2,9 | 3,8 | 1,18 | 1,31 | 1,64 |
| 00.45 | 118 | ალმერია-სალამანკა | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 |
| | | 1 სექტემბერი | | | | | | |
| 15.00 | 119 | ნუმანსია-სპორტინგი | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,29 | 1,33 | 1,44 |
| 3 | ცსკა მოსკოვი(7) | 0:1 | 10.11 | ■ | 2:0 | 2:3 | 11.09 | 2:0 | : | 1:0 | 2:0 | 1:0 | 27.10 | 4:0 | 5:1 | 3:1 | 28.09 | 21 | 14 | 3 | 4 | 41:18 | 45 | 8 | 0 | 2 | 22:6 | 24 | 6 | 3 | 2 | 19:12 | 21 |
| 4 | კრილია სოვეტოვი სამარა(5) | 1:0 | 0:2 | 0:2 | ■ | 11.09 | 10.11 | 4:1 | 1:0 | 1:0 | 1:0 | 28.09 | 1:1 | 0:0 | 3:2 | 4:0 | 26.10 | 21 | 11 | 3 | 7 | 32:24 | 36 | 7 | 2 | 2 | 16:8 | 23 | 4 | 1 | 5 | 16:16 | 13 |
| 5 | სატურნი რამენსკოე(6) | 06.10 | 1:2 | 17.11 | 3:1 | ■ | 0:3 | 21.09 | 0:0 | 1:2 | 02.11 | 1:0 | 5:2 | 1:3 | 2:0 | 1:1 | 2:1 | 21 | 10 | 6 | 5 | 30:24 | 36 | 5 | 2 | 4 | 17:15 | 17 | 5 | 4 | 1 | 13:9 | 19 |
| 6 | დინამო მოსკოვი(9) | 17.11 | 0:1 | 1:2 | 0:1 | 1:1 | ■ | 02.11 | 06.10 | 0:2 | 21.09 | 0:1 | 1:0 | 1:1 | 5:0 | 2:0 | : | 21 | 9 | 3 | 9 | 25:20 | 30 | 3 | 2 | 5 | 11:9 | 11 | 6 | 1 | 4 | 14:11 | 19 |
| 7 | შინიკი იაროსლავლი(ღ) | 0:0 | 2:2 | 1:1 | 4:2 | 1:3 | 2:1 | ■ | 2:1 | 26.10 | 1:0 | 2:0 | 11.09 | 10.11 | 1:1 | 6:0 | 2:1 | 22 | 8 | 6 | 8 | 29:30 | 30 | 7 | 4 | 1 | 24:12 | 25 | 1 | 2 | 7 | 5:18 | 5 |
| 8 | ტორპედო მოსკოვი(4) | 2:2 | 1:2 | 2:3 | 4:3 | 10.11 | 2:0 | 2:0 | ■ | 10.09 | 3:1 | 26.10 | 2:2 | 28.09 | 0:1 | 3:0 | 1:0 | 21 | 8 | 5 | 8 | 29:24 | 29 | 6 | 2 | 3 | 22:14 | 20 | 2 | 3 | 5 | 7:10 | 9 |
| 9 | ზენიტი სანკტ-პეტერბურგი(3) | 1:1 | 0:1 | 06.10 | 17.11 | 1:2 | 1:2 | 1:1 | 2:2 | ■ | 1:0 | 2:1 | 2:1 | : | 02.11 | 21.09 | 2:0 | 21 | 8 | 5 | 8 | 29:28 | 29 | 4 | 3 | 3 | 13:11 | 15 | 4 | 2 | 5 | 16:17 | 14 |
| 10 | როტორი ვოლგოგრადი(10) | 0:2 | 26.10 | 0:1 | 2:0 | 1:1 | 0:0 | 2:0 | 1:0 | 28.09 | ■ | 2:1 | 10.11 | 11.09 | 0:0 | 0:0 | 2:1 | 21 | 7 | 4 | 10 | 16:21 | 25 | 5 | 4 | 2 | 10:6 | 19 | 2 | 0 | 8 | 6:15 | 6 |
| 11 | ალანია ვლადიკავკაზი(13) | 21.09 | 4:3 | 02.11 | 1:4 | 0:1 | 1:2 | 06.10 | 1:1 | 1:0 | 17.11 | ■ | 2:3 | 5:2 | 2:1 | 1:1 | 3:2 | 21 | 6 | 4 | 11 | 26:32 | 22 | 5 | 2 | 4 | 21:20 | 17 | 1 | 2 | 7 | 5:12 | 5 |
| 12 | ურალანი ელისტა(ღ) | 0:0 | 1:1 | 3:3 | 21.09 | 1:2 | 1:3 | 1:1 | 02.11 | 3:3 | 2:0 | : | ■ | 1:0 | 06.10 | 17.11 | 1:1 | 22 | 4 | 10 | 8 | 28:35 | 22 | 2 | 6 | 2 | 14:14 | 12 | 2 | 4 | 6 | 14:21 | 10 |
| 13 | ტორპედო ზილ მოსკოვი(14) | 0:2 | 0:2 | 22.09 | 03.11 | 0:0 | 0:2 | 1:0 | 2:1 | 1:2 | 0:2 | 0:0 | 2:2 | ■ | 17.11 | 06.10 | 2:0 | 21 | 4 | 8 | 9 | 16:28 | 20 | 3 | 3 | 5 | 8:13 | 12 | 1 | 5 | 4 | 8:15 | 8 |
| 14 | როსტსელმაში დონის როსტოვი(12) | 2:3 | 21.09 | : 3:2 | 0:3 | 28.09 | 26.10 | : | 0:1 | 1:2 | 0:3 | 11.09 | 2:0 | 1:1 | ■ | 2:0 | 10.11 | 21 | 5 | 4 | 12 | 20:41 | 19 | 3 | 1 | 5 | 11:15 | 10 | 2 | 3 | 7 | 9:26 | 9 |
| 15 | ანჟი მახაჩკალა(11) | 0:0 | 3:3 | 2:1 | 0:2 | 26.10 | 28.09 | 0:1 | 0:1 | 2:0 | : | 10.11 | 1:1 | 0:0 | 4:1 | ■ | 11.09 | 22 | 3 | 8 | 11 | 16:35 | 17 | 3 | 4 | 3 | 12:10 | 13 | 0 | 4 | 8 | 4:25 | 4 |
| 16 | სოკოლი სარატოვი(8) | 02.11 | 2:2 | 0:1 | 0:0 | 0:0 | 0:1 | 17.11 | 21.09 | 2:2 | 06.10 | 1:1 | 2:0 | 0:0 | 1:2 | 1:0 | ■ | 21 | 2 | 7 | 12 | 16:28 | 13 | 2 | 6 | 3 | 9:9 | 12 | 0 | 1 | 9 | 7:19 | 1 |

## თურქეთი. უმაღლესი დივიზიონი. 2001-02. IV ტური

| თარიღი | დრო | № | | კოეფიციენტი | | | 1/X | 1/2 | X/2 | გს | 2000 | 1999 | 1998 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 30.08.02 | 22.00 | 244 | 2:1ისტანბული; კოჯაელი2:1; 2:2ბურსა **ბეშიქთაში** V **დიარბაქირი** გენჩლერბირლიგი1:4; 1:2ადანა; ალთაი1:1 | 1,15 | 6,0 | 12,0 | 1 | 1,04 | 4 | : | 4:0 0:0 | - | - |
| 31.08.02 | 19.00 | 246 | 0:0ტრაბზონი; გიოზთეპე4:2; 1:1დიარბაქირი **ალთაი** V **ანკარაგუჯუ** ელაზიგსპორი3:1; 0:1ფენერბაჰჩე; მალათია1:1 | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 | - | - | - | 0:3 0:0 |
| 31.08.02 | 19.00 | 247 | 0:1დენიზლი; გაზიანთეპი1:1; 1:1ანკარაგუჯუ **მალათია** V **გალათასარაი** ბურსა2:0; 3:1დენიზლი; სამსუნი4:1 | 6,0 | 3,5 | 1,5 | 2,21 | 1,2 | 1,04 | - | 0:2 0:1 | - | - |
| 31.08.02 | 21.00 | 248 | 4:1გიოზთეპე; დიარბაქირი2:1; 2:2ისტანბული **ადანა** V **ტრაბზონი** ალთაი0:0; 0:2ელაზიგსპორი; ფენერბაჰჩე0:0 | 2,2 | 3,1 | 3,1 | 1,28 | 1,28 | 1,56 | - | - | 3:3 1:7 | 1:2 1:0 |
| 31.08.02 | 21.00 | 249 | 0:2გალათასარაი; 0:1სამსუნი; ბეშიქთაში2:2 **ბურსა** V **კოჯაელი** სამსუნი1:2; 1:2ბეშიქთაში; გენჩლერბირლიგი1:3 | 1,85 | 3,2 | 3,8 | 1,17 | 1,24 | 1,73 | - | 2:1 2:1 | 0:0 1:1 | 2:3 2:0 |
| 01.09.02 | 19.00 | 250 | 1:3ანკარაგუჯუ; ტრაბზონი2:0; 1:2გიოზთეპე **ელაზიგსპორი** V **გაზიანთეპი** 1:1მალათია; დენიზლი1:1; | 2,6 | 3,2 | 2,4 | 1,43 | 1,24 | 1,37 | - | - | - | - |
| 01.09.02 | 21.00 | 251 | 4:1დიარბაქირი; ისტანბული4:1; 3:1კოჯაელი **გენჩლერბირლიგი** V **გიოზთეპე** ადანა1:4; 2:4ალთაი; ელაზიგსპორი2:1 | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 | - | 0:1 1:1 | - | 2:3 1:0 |
| 01.09.02 | 21.00 | 253 | ანკარაგუჯუ1:0; 0:0ტრაბზონი; **ფენერბაჰჩე** V **დენიზლი** მალათია1:0; გალათასარაი1:3; 1:1გაზიანთეპი | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,07 | 3,58 | - | 2:1 2:1 | 5:2 1:2 | 1:1 2:1 |
| 01.09.02 | 21.00 | 255 | 2:1კოჯაელი; ბურსა1:0; 1:4გალათასარაი **სამსუნი** V **ისტანბული** ბეშიქთაში1:2; 1:4გენჩლერბირლიგი; ადანა2:2 | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 | - | 1:0 0:1 | 0:0 2:3 | 1:0 1:0 |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გენჩლერბირლიგი ანკარა(7) | ■ | 24.11 | | | | 10.11 | 22.09 | 27.10 | 06.10 | | : | | | | 15.12 | 4:1 | | 22.12 | 3 | 3 | 0 | 0 | 11:3 | 9 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| 2 | გალათასარაი სტამბოლი(1) | | ■ | | 08.12 | 4:1 | | | | | | 03.11 | | | 17.11 | 2:0 | 29.09 | 20.10 | 15.09 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| 3 | ადანასპორი ადანა(ღ) | 17.11 | 10.11 | ■ | | 01.12 | | | | | 27.10 | | 22.09 | 06.10 | : | | 22.12 | 2:1 | 15.12 | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 7 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| 4 | ბეშიქთაში სტამბოლი(3) | 01.12 | | 24.11 | ■ | 15.12 | | | | | 10.11 | | 06.10 | 27.10 | 22.09 | 22.12 | | : | 2:1 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:4 | 7 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| 5 | სამსუნსპორი სამსუნი(15) | 08.12 | 22.12 | | | ■ | 24.11 | 06.10 | 10.11 | 27.10 | | 22.09 | | | | 1:0 | : | | | 3 | 2 | 0 | 1 | 4:5 | 6 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| 6 | ალთაი იზმირი(ღ) | | 27.10 | 03.11 | 17.11 | | ■ | : | 06.10 | 22.09 | | 4:2 | | | | 01.12 | 15.12 | 22.12 | | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 3 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| 7 | ანკარაგუჯუ ანკარა(4) | | 01.12 | 15.09 | 29.09 | | | ■ | | | 3:1 | 17.11 | 08.12 | 1:1 | | 20.10 | 03.11 | | | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| 8 | ფენერბაჰჩე სტამბოლი(2) | | 22.09 | 20.10 | 03.11 | | | 1:0 | ■ | : | 29.09 | 15.12 | | | 22.12 | 17.11 | 01.12 | | | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 9 | დენიზლისპორი დენიზლი(5) | | 1:3 | 29.09 | 20.10 | | | 15.12 | | ■ | 15.09 | 01.12 | 22.12 | 1:0 | | 03.11 | 17.11 | | | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 10 | ელაზიგსპორი(ღ) | 03.11 | 06.10 | | | 17.11 | 20.10 | | | | ■ | 22.12 | : | 22.09 | 2:0 | | | 15.12 | 01.12 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| 11 | გიოზთეპე იზმირი(8) | | | 1:4 | 15.09 | | | | | | 2:1 | ■ | 24.11 | 08.12 | 10.11 | 29.09 | 20.10 | | | 3 | 1 | 0 | 2 | 5:9 | 3 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 | 0 | 0 | 1 | 2:4 | 0 |
| 12 | გაზიანთეპსპორი გაზიანთეპი(6) | 29.09 | 15.12 | | | 20.10 | 15.09 | | : | 1:1 | | | ■ | | 01.12 | | | 17.11 | 03.11 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 13 | მალათიასპორი მალათია(14) | 20.10 | : | | | 03.11 | 29.09 | 22.12 | 15.09 | | | | 1:1 | ■ | 15.12 | | | 01.12 | 17.11 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| 14 | ტრაბზონსპორი ტრაბზონი(13) | 15.09 | | | | 29.09 | 0:0 | 24.11 | 0:0 | 08.12 | | | | | ■ | | | 03.11 | 20.10 | 3 | 0 | 2 | 1 | 0:2 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 15 | ბურსასპორი ბურსა(10) | | | 08.12 | 2:2 | | | | | | 24.11 | | 27.10 | 10.11 | 06.10 | ■ | | 22.09 | : | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| 16 | ისტანბულსპორი სტამბოლი(9) | | | 2:2 | 1:2 | | | | | | 08.12 | | 10.11 | 24.11 | 27.10 | 15.09 | ■ | 06.10 | | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| 17 | დიარბაქირსპორი დიარბაქირი(12) | 1:4 | | | | 15.09 | 1:1 | 10.11 | 08.12 | 24.11 | | 27.10 | | | | | | ■ | 29.09 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | 1 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| 18 | კოჯაელისპორი იზმითი(11) | 1:3 | | | | 1:2 | 08.12 | 27.10 | 24.11 | 10.11 | | 06.10 | | | | | 22.09 | | ■ | 3 | 0 | 0 | 3 | 3:7 | 0 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |

CHAMPIONS LEAGUE — UEFA CUP

## ევროპის სუპერთასი დღეს

### რეალი (მადრიდი) — ფეიენოორდი (როტერდამი)

მონაკო, «ლუი მეორე». 23.45. მსაჯი პიუ დალასი

# ეს თასიც გვინდა!

## ოქროს გოლს ლუი II გამოცდის

**დღეს მონაკოში,** „ლუი II“ სტადიონზე მეხუთედ გაიმართება ევროპის სუპერთასის მატჩი. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული მადრიდის „რეალი“ უეფას თასის მფლობელ როტერდამის „ფეიენოორდს“ შეხვდება. მაგრამ სანამ მეტოქე გუნდების ამბებს მოვიკითხავდეთ, ერთი მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ ვთქვათ, რომელსაც უეფა ახალი სეზონიდან ამკვიდრებს და პირველი გამოცდა სწორედ დღეს ელის. კერძოდ, შეიცვალა დამატებითი დროისა და „ოქროს გოლის“ წესი. 90 წუთის ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება ერთი დამატებითი 15-წუთიანი ტაიმი. თუ დროის ამ მონაკვეთში გოლი გავიდა, თამაში მაინც გაგრძელდება და გამარჯვებული 105 წუთის შემდეგ გამოვლინდება. თუ პირველ ექსრტატაიმში ისევ ფრე დაფიქსირდა, მაშინ ჩვეულებრივ მეორე დამატებითს და საჭიროებისამებრ მატჩის შემდგომ პენალტებსაც ვიხილავთ. ასე რომ, პირველ დამატებითში გატანილი გოლი არის და არც არის „ოქროსი“.

ახლა კი სუპერთასის ამბებს მივუბრუნდეთ. ეს პრიზი ოფიციალურად 1974 წლიდან თამაშდება. პირველი მფლობელი ამსტერდამის „აიაქსია“, რომელმაც „მილანს“ ორი მატჩის ჯამში 0:1, 6:0 მოუგო. დავაზუსტოთ, 2000 წლამდე სუპერთასისთვის ერთმანეთს ჩემპიონთა და თასების თასის გამარჯვებულები ხვდებოდნენ, მაგრამ 1999-ში თასთა თასი გაუქმდა და მისი ადგილი უეფას თასის მფლობელმა დაიკავა.

„აიაქს“ — „მილანის“ დუელი 1974-ის იანვარში გაიმართა. ერთი წლით ადრე კი ამავე პრიზისთვის დავაში „აიაქსმა“ გლაზგოს „რეინჯერსს“ მოუგო, მაგრამ რაკი „პირველი“ უეფას ეგიდით არ ჩატარებულა, ოფიციალურ ნუსხაშიც არ მოიხსნება. მერე ერთი მეორეს მიჰყვა და დამოუკიდებელი ისტორიაც შეიქმნა. დღესაც იხსენებენ, რო-



ყველაფრისმომგებ რეალელებს სუპერთასიღა აკლიათ

გორ მოუგო 1975 წელს კიევის „დინამომ“ უძლეველ მიუნხენის „ბაიერნს“, ორი წლის შემდეგ როგორ დაანგრია „ლივერპულმა“ „ჰამბურგი“ (1:1, 6:0),

ან 1983-ში როგორ აჯობა კერკეტმა „ასტონ ვილამ“ „ბარსელონას“ (0:1, 3:0)...

21 წლის წინ ეს თასი, ეგებ თბილისშიც ჩამობრძანებულიყო, მაგრამ მა-

...ისევე ანტე-... ჩოგნაობის ხი-შინ ჩვენებური?

რპული“ ...ღეას „მოდის თავისუფლე-ლსა ...სახებ პირველი სერენა უილი-... გამოეხმაურა, ვინაც საჩოგნეთი პირველსავე დღეს დაშოკა თავისი შავტყავა, ტანზე შეტმასნილი ურცხვი კომბინეზონით. „ბიჭებმაც და გოგოებმაც ის უნდა ჩაიცვან, რაც სიამოვნებთ. არავის შეუძლია, დამიდგინოს ის, თუ რა და როგორ უნდა ჩავიცვა. მე მძულს ის, როცა ადამიანები ჩემს საქმეში ერევიან და მასწავლიან, თუ რა მიხდება და რა არ მიხდება“ — წიწმატობდა უმცროსი შავდა.

მისი წიწმატობა გამოღმით შერჩენის მიზნით გალმა გადავებას უფრო ჰგავდა, რადგანაც თავად მისი სამოსი — რომელიც, ცოდვა გამხელილი სჯობს, მის ბარაქიან უკანალს მართლაც არასახარბიელოდ წარმოაჩენს — ფლეშინგ მედოუზზე ყოველდღიური მითქმა-მოთქმისა და ძაგების ობიექტია...

ასეა თუ ისე, „ხორცის დაფარვამ“ ჰაასი 5-სეტიან განდაგანაში მონაწილეობისგან მაინც ვერ დაიცვა. სამსაათნახევრიანი შეხლის ბედი მაშინ გადაწყდა, როცა კერკეტმა სანჩესმა მეხუთე სეტში 5:5-ზე საკუთარი მოწოდება დათმო, ხოლო 5:6-ზე ჰაასის მიერ რამდენიმე მატჩბურთის ორმაგი შეცდომებით წამურდვლა ვერ შეიშნოვა და ჩოგანი დახარა.

ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი დღეს ნამდვილად არ მითამაშია, აღიარებდა ჰაასი ნამატჩევს. „ქარში საში-

ზი არასოდეს მოუგიათ და თუ „ფეიენოორდთან“ მიმართებაში უცნაური არაფერია, „რეალის“ ამ მხრივ უტიტულობა მართლაც გასაკვირია. 2000-ში მადრიდელები „გალათასარაისთან“ 1:2 დამარცხდნენ, თურქთა გამარჯვებისა მაშინ ბრაზილიელმა მარიო ჟარდელმა გაიტანა. ორი წლით ადრე კი „რეალმა“ ლონდონის „ჩელსის“ გაატანა პრიზი, ერთადერთი გოლი ურუგვაელმა გუსტავო პოიეტმა შეაგდო.

„პარასკევს სეზონის პირველი სერიოზული ტესტი გველის და ეს დაწყევტილი თასი ბოლოს და ბოლოს მადრიდში უნდა ჩავიტანოთ“ — ამბობს რეალელთა მცველი მიჩელ სალგადო. აი, მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე კი ფრთხილობს და დასძენს: „ფეიენოორდი“ ჰოლანდიური საფეხბურთო სკოლის კლასიკური წარმომადგენელია. ამას რამდენიმე ძლიერი ლეგიონერიც დავუმატოთ და მივხვდებით, რომ ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არ არის. შარშან მათ არაერთი ბობოლა გუნდი გაამწარეს და უეფას თასზე ერთობ კარგი ფეხბურთი ითამაშეს“.

თავის მხრივ, ჰოლანდიელებიც დიდ გულზე არიან. გასულ სამშაბათს მათ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვეს და რაც მთავარია, თურქულ „ფენერბაჰჩესთან“ გააზრებულად, მწყობრად ითამაშეს. მწვრთნელი ბერტ ვან მარვიკი დარწმუნებულია, რომ მისი ბიჭები მადრიდელთა ლამის მსოფლიოს ნაკრებს ტოლს არაფერში დაუდებენ. კაპიტანი პოლ ბოსველტი კი აცხადებს: დღეისთვის „რეალი“ ეგებ ევროპის საუკეთესო გუნდიც არის, მაგრამ ჩვენ შარშანაც დავამტკიცეთ, რომ ...მგებიან ქიმოწინაალმდეგესთან ძაგრამ ზედ 41 უნეალიე მუცლ.რ დავზოუშვა და ამიტომ მატჩის მსვლელობისას რამდენჯერმე შმაგად აბურთავებაც მოუხდა, გაოჩნებულ მეტოქეს რომ გასწორებოდა.

ბრწყინვალე სამაგარსაფრო სეზონი ინდოამერიკელი პრაკაშ ამრიტრაჯის ძლევით განაგრძო და კარიერის პირველი საამერიკო გამარჯვება მიითვალა ტაილანდელმა პარადორნ შრიჩაფანმა. (სხვათა შორის — ეს პრაკაში იმ ვიჯაის ამრიტრაჯის შვილია, შორეულ 1972-ში აშშ-ის ღია პირველობის მესამე წრიდან როდ ლეივერი რომ დაიფრინა, მომდევნო წელს კი ბიორნ ბორგი აოტა).

ხოლო უიმბლდონის წლევანდელი ფინალისტის, დავიდ ნალბანდიანისა (16) და მისი ისტორიული თვისტომის, სარგის სარგსიანის საინტერესო პაექრობა ღედასომხეთის წარმომადგენლის გამარჯვებით დასრულდა. ნალბანდიანმა უნებლიედ 43-ჯერ მიჰქარა და 4 საკუთარი მოწოდება დათმო — ეს საკმარისი გამოდგა, რათა სარგსიანს 1997 წლის შემდეგ მოუგებელი აშშ-ის ღია პირველობის საპირველწრეო შეხვედრა მოეგო.

### „ჩვენ, ცხოველები“

სერენა უილიამსის სამეორწრეო ვარჯიშმა ზუსტად 40 წუთს გასტანა. მარატ საფინის 16 წლის დაიკოს დასაბომბად ქალთა მეპირველეს სწორედ ამდენი დრო დასჭირდა.

„რა ვქნა, ამაზე სუსტად დარტყმა მე არ შემიძლია — იმართლებოდასავით ნამატჩევს სერენა — მჯერა, ეგ გოგო ოდესმე დიდ ჩოგბურთს ითამაშებს. რაც მთავარია, იგი უკვე ახლაა მშვენიერი პიროვნება. კორტის გარეთ ის მუდამ იღიმის. დღეს ეისი რომ ჩამიგდო, ისე შემომხედა, თითქოს პატიებას მთხოვდა... იმედია, ჩვენ, უფრო მოზრდილი ცხოველები მას არ შევავიწროვებთ და ნორმალურად გაზრდის საშუალებას მივცემთ“.

„მე რაც შემეხება, კორტზე საშინელი ვინმე ვარ. ერთი სიტყვიც თქმაც არ შემიძლია, მხოლოდ — გრრრრრ-...ში არაფერი! მაგრამ კორტის ... ვარ, ყველასთან რი-

# ზიდანის პირველი სამიზნე

**ზინედინ ზიდანს** ტიტულები არ აკლია, მაგრამ საფრანგეთის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩავარდნის შემდეგ, ალბათ, ახალი გამარჯვებებიც მოსწყურდა. დღეს „რეალი“ ევროპის სუპერთასისთვის „ფეიენოორდს“ გაეჯიბრება. არც სამეფო კლუბს და არც ზიდანს ეს პრიზი არასოდეს მოუგიათ. ასე რომ...

გთავაზობთ ბლიც-ინტერვიუს, რომელიც ფრანგულმა „ფრანს ფუტბოლმა“ დღევანდელი მატჩის წინ ჩამოართვა ზიდანს

— ახალ სეზონში „რეალს“ ხუთი მიზანი აქვს: პარასკევს მონაკოში სუპერთასი, დეკემბერში კი ტოკიოში საკონტინენტთაშორისო თასი უნდა მოვიგოთ. ასევე გამარჯვების იმედი გვაქვს ესპანეთის ჩემპიონატში, სამეფო თასზე და ჩემპიონთა ლიგაში.

**— შარშან სამი მიზანი გქონდათ, მაგრამ მხოლოდ ერთ მწვერვალს შესწვდით.**

— ყველა ტურნირის მოგება არცთუ იოლი ამბავია, თუმცა ამის დიდი სურვილი გვაქვს. „რეალს“ უფლება არ აქვს ამა თუ იმ შეჯიბრებაში მხოლოდ მონაწილეობით დაკმაყოფილდეს, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. გასულ მაისს გლაზგოში ჩინებული დარტყმა გამომივიდა, რომელმაც „რეალს“ ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა. ამიტომ მიმაჩნია, რომ წინა სეზონი ჩემთვის ცუდი სულაც არ ყოფილა. სხვა საქმეა, რომ დანარჩენ ტურნირებში დასახული ამოცანები ვერ შევასრულეთ.

**— მერე არ გაგაკრიტიკეს? საუკუნოვან იუბილეზე ხომ „რეალისგან“ მეტს ელოდნენ.**

— რა აზრი აქვს კრიტიკას, თუკი მართალს ვამბობ? „იუვენტუსში“ გატარებული ხუთი წლის შემდეგ, მადრიდში სრულიად სხვა ვითარებაში მოვხვდი, როგორც საფეხბურთო, ასევე პირადულ ასპექტში. მგონი, აქაურობას მალე შევეჩვიე. მართალია, თავიდან გამიჭირდა, მაგრამ დაუღალავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. ჯილდოდ კი ის ტურნირი მოვიგე, აქამდე რომ ვოცნებობდი. გულახდილი თუ ვიქნები, „იუვენტუსიდან“ „რეალში“ სწორედ ჩემპიონთა ლიგის გამო გადავედი.

**— წლეულს უფრო რომელ ტურნირში გამარჯვება გსურთ?**

— ალბათ ესპანეთის ჩემპიონატში. თუმცა არც სხვები უნდა დაგვავიწყდეს. „რეალს“ არასოდეს მოუპოვებია სუპერთასი, ამიტომ კლუბის ხელმძღვანელობამ პირადად მთხოვა, ყველაფერი ვიღონო „ფეიენოორდის“ დასამარცხებლად. იმედია, ჩვენ გავიმარჯვებთ.





# ბებერი ნორვეგიელი უტიფარი თურ...

## მანჩესტერმა მეკარე ესპანეთში მო...

**33 წლის** ნორვეგიელი მცველი რონი იონსენი, რომელმაც კარიერის საუკეთესო წლები „მანჩესტერ იუნაიტედში“ გაატარა, ცალი ფეხით უკვე „ასტონ ვილაშია“.

— ის შესანიშნავი ფეხბურთელი და შესანიშნავი მცველია. დარწმუნებული ვარ, რომ ის ჩვენთან გაძლოვა — განუცხადა BBC-ის ვილელთა მენეჯერმა გრემ ტეილორმა.

იონსენი ბოლო სამი წელიწადი ტრავმებმა გატანჯეს, ხოლო წინა სეზონის დასრულებისთანავე „მანჩესტერმა“ მას გათავისუფლების ფურცელი აახლა.

„ასტონ ვილას“ დამრიგებელი ტეილორი კი თურქ მცველ ალფაის აფრთხილებს, სანამ ტრანსფერები დაიხურება ახალი გუნდი მოძებნე, თორემ „ვილას“ ძირითადში თამაშს ვერ ეღირსებიო — „ასტონ ვილამ“ ალფაი ორი კვირის წინ დააყენა ტრანსფერზე კლუბის უტიფრად გაკრიტიკებისთვის.

ეგრეა, ზრდილობა და პრინციპები ინგლისელებს ძვირად უღირთ და მუნდიალზე ბრინჯაოსმომპოვებელ ფეხბურთელსაც კარისკენ მიუთითებს, ხოლო ტეილორმა ალფაიზე მრავალაზროვანი ფრაზა წარმოსთქვა:

„არ შემიძლია ისეთი ფეხბურთელი მყავდეს გუნდში, რომელიც ტრანსფერს გასახდელში მთხოვს. თუ ალფაის მსურველი კლუბი ახლა არ გამოჩნდება, ალბათ, ეს იანვრის სატრანსფერო ფანჯარაში მოხდება“.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ კი საცაა „ვალიადოლიდიდან“ გადმოიყვანს ესპანეთის ნაკრების მეკარე რიკარდო ლოპესს — ეს გარიგება 31 აგვისტომდე უნდა შედგეს.

მეკარე და მანჩესტერელები უკვე შეთანხმდნენ და ჯერი ახლა „ვალიადოლიდზეა“.

30 წლის რიკარდო ლოპესი კორეა-იაპონიაშიც ახლდა ნაკრებს, თუმც არ უთამაშია. ის ესპანეთში მესამე მეკარედ ითვლება იკერ კასილიასისა და სანტიაგო კანისარესის შემდეგ.

შეგახსენებთ, მანჩესტერელთა ფრანგი კარის დარაჯი ფაბიენ ბარტეზი დაშავებულია და გოლკიპერობას სერ ალექსის გუნდში როი კეროლი სწევს.

**დავით თაგვარიშვილაძე**



რიკარდო ლოპესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

WE ARE THE WORLDS!
2002 WORLD BASKETBALL CHAMPIONSHIP
INDIANAPOLIS, AUG. 29 - SEPT. 8

# ამერიკა — იუგოსლავია ჩემპიონობისთვის

## სტატისტები სტატისტიკისთვის



ამერიკელები, როგორც ყოველთვის, მთელ მსოფლიოზე იწყებენ

დღეს დილით ინდიანაპოლისში პლანეტის 16-მა რჩეულმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო. მონაწილეთაგან ყველაზე ძლიერი, ცხადია, ამერიკაა. და მაინც: მასპინძლებს ნაკრებში ნბა-ს 12 ვარსკვლავისთვის კი დაუძახიათ, მათ მაინც ვერ ჰყავთ იდეალური გუნდი. სრულყოფილებასთან ყველაზე ახლოს იუგოსლავები არიან, რომელთაც მხოლოდ ზორბა დეტროიტელი ჟელკო რებრაჩა აკლიათ. ცხადია, გთავაზობთ დანარჩენი 14 ნაკრების შემადგენლობასაც, თუმც ზოგიერთის, მაგალითად, ალჟირის, ლიბანისა და ანგოლას შემადგენლობის ბოლომდე ჩაკითხვით თავს ძალიანაც ნუ დაიტანჯავთ, წინასწარ გაფრთხილებთ, იქ ნაცნობ გვარებს ვერ იპოვით.



დანარჩენი სამყაროს იმედი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი იუგოსლავიაა

## A ჯგუფი

### იუგოსლავია

მწვრთნელი: სვეტისლავ პეშიჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | დეიან ბოდიროგა (ბარსელონა, ესპანეთი) | ფ | 203 | 29 |
| 5 | დეიან კოტუროვიჩი (ალბა, გერმანია) | ც | 210 | 30 |
| 6 | მარკო ჩაგარ... | | | |

### რუსეთი. [illegible]

| თარიღი | დრო | № | |
|---|---|---|---|
| 31.08.02 | 16.00 | 306 | 1:1 ურალანი; ალანია 2:1; 2:... |
| 31.08.02 | 16.00 | 307 | ზილი 1:1; 2:1 ზენიტი; ალანია... |
| 01.09.02 | 16.00 | 308 | როსტსელმაში 3:0; 0:0 შინნიკი; 2:0 როტორი ლოკომ... |
| 01.09.02 | 16.00 | 310 | 0:3 ლოკომოტივი; კრილია 0:3; 1:5 ცსკა როსტსელმ... |
| 01.09.02 | 16.00 | 311 | 1:3 ცსკა; ტორპედო 0:1; კრილია 0:2 ანჟი V |
| 01.09.02 | 16.00 | 312 | ანჟი 3:1; 1:0 როტორი; როსტსელმაში 5:1 ცსკა V |
| 01.09.02 | 16.00 | 313 | სპარტაკი 1:1; 2:5 სატურნი; 1:2 ზენიტი ურალანი V |
| 01.09.02 | 16.00 | 314 | 2:2 სოკოლი; დინამო 1:2; ურალანი 2:1 ზენიტი V |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლოკომოტივი მოსკოვი (2) | | 12.09 | 0:0 | : | 2:0 | 3:0 | 2:1 |
| 2 | სპარტაკი მოსკოვი (1) | 1:2 | | 0:3 | 06.10 | : | 1:0 | 3:0 |
| 3 | ცსკა მოსკოვი (7) | 0:1 | 10.11 | | 2:0 | 2:3 | 11.09 | 2:0 |
| 4 | კრილია სოვეტოვი სამარა (5) | 1:0 | 0:2 | 0:2 | | 11.09 | 10.11 | 4:1 |
| 5 | სატურნი რამენსკოე (6) | 06.10 | 1:2 | 17.11 | 3:1 | | 0:3 | 21.09 |
| 6 | დინამო მოსკოვი (9) | 17.11 | 0:1 | 1:2 | 0:1 | 1:1 | | 02.11 |
| 7 | შინნიკი იაროსლავლი (ღ) | 0:0 | 2:2 | 1:1 | 4:2 | 1:3 | 2:1 | |
| 8 | ტორპედო მოსკოვი (4) | 2:2 | 1:2 | 2:3 | 4:3 | 10.11 | 2:0 | 2:0 |
| 9 | ზენიტი სანქტ-პეტერბურგი (3) | 1:1 | 0:1 | 06.10 | 17.11 | 1:2 | 1:2 | 1:1 |
| 10 | როტორი ვოლგოგრადი (10) | 0:2 | 26.10 | 0:1 | 2:0 | 1:1 | 0:0 | 2:0 |
| 11 | ალანია ვლადიკავკაზი (13) | 21.09 | 4:3 | 02.11 | 1:4 | 0:1 | 1:2 | 06.10 |
| 12 | ურალანი ელისტა (ღ) | 0:0 | 1:1 | 3:3 | 21.09 | 1:2 | 1:3 | 1:1 |
| 13 | ტორპედო-ზილ მოსკოვი (14) | 0:2 | 0:2 | 22.09 | 03.11 | 0:0 | 0:2 | 1:0 |
| 14 | როსტსელმაში როსტოვი (12) | 2:3 | 21.09 | : 3:2 | 0:3 | 28.09 | 26.10 | : |
| 15 | ანჟი მახაჩკალა (11) | 0:0 | 3:3 | 2:1 | 0:2 | 26.10 | 28.09 | 0:1 |
| 16 | სოკოლი სარატოვი (8) | 02.11 | 2:2 | 0:1 | 0:0 | 0:0 | 0:1 | 17.11 |

### თურქეთი. უმაღლესი დივიზი...

| თარიღი | დრო | № | |
|---|---|---|---|
| 30.08.02 | 22.00 | 244 | 2:1 ისთანბული; კოჯაელი 2:1; 2:2 ბურსა ბეშიქთაში V ... |
| 31.08.02 | 19.00 | 246 | 0:0 ტრაბზონი; გიოზთეპე 4:2; 1:1 დიარბაქირი ალთაი V ანკ... |
| 31.08.02 | 19.00 | 247 | 0:1 დენიზლი; გაზიანთეპი 1:1; 1:1 ანკარაგიუჯუ მალათია V მალ... |
| 31.08.02 | 21.00 | 248 | 4:1 გიოზთეპე; დიარბაქირი 2:1; 2:2 ისთანბული [illegible] V ... |
| 31.08.02 | 21.00 | 249 | 0:2 გალათასარაი; 0:1 სამსუნი; ბეშიქთაში 2:2 ბურსა V ... |
| 01.09.02 | 19.00 | 250 | 1:3 ანკარაგიუჯუ; ტრაბზონი 2:0; 1:2 გიოზთეპე ელაზიგსპორი V ... |
| 01.09.02 | 21.00 | 251 | 4:1 დიარბაქირი; ისთანბული 4:1; 3:1 კოჯაელი გენჩლერბირლიგი V |
| 01.09.02 | 21.00 | 253 | ანკარაგიუჯუ 1:0; 0:0 ტრაბზონი; ფენერბაჩე V |
| 01.09.02 | 21.00 | 255 | 2:1 კოჯაელი; ბურსა 1:0; 1:4 გალათასარაი სამსუნი V |

| № | | 1 |
|---|---|---|
| 1 | გენჩლერბირლიგი ანკარა (7) | |
| 2 | გალათასარაი სტამბოლი | V |
| 3 | ... | |

მწვრთნელი: მარიო პალმა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | ვიქტორ მუზადი (დე აგოსტო) | ფ | 201 | 24 |
| 5 | ვალტერ კოსტა (ფეგუნდოდ) | უბ | 185 | 29 |
| 6 | ანჟელო ვიქტორიანო (დე აგოსტო) | ფ | 196 | 34 |
| 7 | ვალტერ მონტეირო (ოვარენშე, პორტუგალია) | უბ | 190 | 29 |
| 8 | ედმარ ვიქტორიანო (პეტრო დე ლუანდა) | ფ | 195 | 27 |
| 9 | ანტონიო კარვალო (პეტრო დე ლუანდა) | ფ | 193 | 33 |
| 10 | ჟოაკიმ გომესი (ვალპარაისო, აშშ) | ც | 202 | 22 |
| 11 | ბელარმინო შიპუნგე (დე აგოსტინო) | ფ | 196 | 28 |
| 12 | აფონსო სილვა (დე აგოსტო) | უბ | 190 | 28 |
| 13 | კარლოს ალმეიდა (დე აგოსტო) | უბ | 192 | 26 |
| 14 | მიგელ ლუტონდა (დე აგოსტო) | უბ | 186 | 31 |
| 15 | ედუარდო მინგასი (ინტერ-კლუბე) | ც | 196 | 23 |

## B ჯგუფი

### თურქეთი

მწვრთნელი: აიდინ ორსი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | ქერიმ თუნჩერი (ეფესი) | უბ | 187 | 23 |
| 5 | ჰიდაიეთ თურქოღლუ (საკრამენტო, აშშ) | ფ | 203 | 23 |
| 6 | მირსად თურქჯანი (სიენა, იტალია) | ფ | 205 | 26 |
| 7 | ჰაკან კომეოღლუ (დარუშშაფაკა) | უბ | 188 | 21 |
| 8 | ...ფარსი (ულქერი) | ც | 212 | 26 |
| 9 | ...ნანა (ულქერი) | უბ | 190 | 34 |
| 10 | ...ნათინაიკოსი, საბერძნეთი) | უბ | 198 | 28 |
| 11 | ... | ც | 207 | 22 |
| 12 | ...რაგლი) | ც | 212 | 27 |
| 13 | ... | ფ | 210 | 23 |
| 14 | ... | ფ | 201 | 30 |
| 15 | ... | უბ | 194 | 24 |

### ...ილია

...რუბენს გარსია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | უბ | 201 | 27 |
| | | უბ | 189 | 22 |
| | | ფ | 199 | 30 |
| | | უბ | 191 | 20 |
| | | ც | 210 | 30 |
| | | უბ | 193 | 29 |
| | | უბ | 186 | 27 |
| | | ც | 207 | 20 |
| | | ფ | 204 | 22 |
| | | ც | 209 | 17 |
| | | ფ | 201 | 31 |
| | | ც | 210 | 22 |

### ...რიკო

...იო ტორო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ც | 208 | 39 |
| | | უბ | 193 | 22 |
| | | უბ | 193 | 32 |
| | | უბ | 188 | 23 |
| | | ფ | 200 | 38 |
| | ...რნი) | უბ | 190 | 27 |
| | | უბ | 188 | 25 |
| | | ფ | 200 | 24 |
| | ...რსე) | ფ | 200 | 27 |
| | | ც | 208 | 31 |
| | ...ლასი) | უბ | 196 | 29 |
| | | ც | 216 | 26 |

### ლიბანი

მწვრთნელი: ჯონი ნიუმანი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | ვალიდ ელ დომიატი (სპორტინგი) | უბ | 179 | 34 |
| 5 | ჩარლზ ბარდუილი (სპორტინგი) | უბ | 191 | 22 |
| 6 | ბადრ მაკი (საჯესე) | უბ | 188 | 32 |
| 7 | რონი ფაჰედი (ბლუ სტარქსი) | უბ | 183 | 21 |
| 8 | გეორგეს ჩიბანი (ალ სადაკა) | უბ | 179 | 28 |
| 9 | იასერ ელ ჰაგე (სპორტინგი) | ფ | 198 | 32 |
| 10 | რონი სამაჰა (საჯესე) | ც | 205 | 18 |
| 11 | ჰოლ ხური (სპორტინგი) | ც | 207 | 34 |
| 12 | ლაზი ელ ბუსტანი (ჩამპვილი) | ფ | 188 | 35 |
| 13 | ელი მჩანტაფი (საჯესე) | უბ | 195 | 32 |
| 14 | ჯო ზეფ ვოგელი (ჩამპვილი) | ც | 112 | 29 |
| 15 | ფადი ელ ხატიბი (საჯესე) | ფ | 198 | 23 |

## C ჯგუფი

### აშშ

მწვრთნელი: ჯორჯ კარლი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | მაიკლ ფინლი (დალასი) | უბ | 201 | 29 |
| 5 | ბაირონ დევისი (ახალი ორლეანი) | უბ | 191 | 23 |
| 6 | ანდრე მილერი (კლიპერსი) | უბ | 188 | 26 |
| 7 | ჯერმენ ონილი (ინდიანა) | ც | 211 | 24 |
| 8 | ანტონიო დევისი (ტორონტო) | ც | 206 | 34 |
| 9 | პოლ პირსი (ბოსტონი) | ფ | 198 | 25 |
| 10 | რეჯი მილერი (ინდიანა) | უბ | 201 | 37 |
| 11 | შონ მარიონი (ფინიქსი) | ფ | 201 | 24 |
| 12 | ჯეი უილიამსი (ჩიკაგო) | უბ | 189 | 21 |
| 13 | ბენ უოლესი (დეტროიტი) | ც | 206 | 28 |
| 14 | ელტონ ბრენდი (კლიპერსი) | ფ | 203 | 23 |
| 15 | რიფ ლაფრენცი (დალასი) | ც | 211 | 26 |

### ჩინეთი

მწვრთნელი: ფეი ვანგი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | გუო შიუანგი | უბ | 192 | 27 |
| 5 | ლიუ ვეი | უბ | 190 | 22 |
| 6 | გონგ ხაობინი | ფ | 202 | 33 |
| 7 | ცანგ ჩენგი | ფ | 196 | 24 |
| 8 | ჰუ ვეიდონგი | ფ | 198 | 31 |
| 9 | ჩენ კე | ფ | 204 | 23 |
| 10 | ლი ნანი | ფ | 198 | 26 |
| 11 | ლიუ იუდონგი | ფ | 200 | 32 |
| 12 | ზუ ფანგიუ | ფ | 200 | 19 |
| 13 | იაო მინგი (ჰიუსტონი, აშშ) | ც | 206 | 22 |
| 14 | მენკე ბატერი (დენვერი, აშშ) | ც | 211 | 27 |
| 15 | დუ ფენგი | ფ | 202 | 21 |

### გერმანია

მწვრთნელი: ჰენრიკ დეტმანი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | მირატ დემირელი (ალბა) | უბ | 180 | 24 |
| 5 | ადემოლა ოკულაია (უნიკახა, ესპანეთი) | ფ | 202 | 27 |
| 6 | იორგ ლუტკე (ალბა) | ფ | 200 | 27 |
| 7 | მარკო პეშიჩი (ალბა) | უბ | 197 | 26 |
| 8 | პასკალ როლერი (სკაილაინერზი) | უბ | 185 | 26 |
| 9 | ჰენრიკ როდლი (ალბა) | უბ | 200 | 33 |
| 10 | მისან ნიკაგბატსე (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი) | უბ | 193 | 20 |
| 11 | სტეფანო გარისი (ალბა) | უბ | 199 | 23 |
| 12 | სტეფან არიგბაბუ (კიოლნი) | ც | 206 | 30 |
| 13 | პატრიკ ფემერლინგი (ბარსელონა, ესპანეთი) | ც | 213 | 27 |
| 14 | დირკ ნოვიცკი (დალასი, აშშ) | ფ | 213 | 24 |
| 15 | რობერტ მარასი (სკაილაინერზი) | ც | 215 | 24 |

### ალჟირი

მწვრთნელი: ჰაიდ ვილალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | სოფიან ბოულაია (ალჟირი) | უბ | 180 | 29 |
| 5 | სამირ მეჰენაოუი (ბოუფარიკი) | უბ | 198 | 38 |
| 6 | ფარიდ ბელჰიმეური (ალჟირი) | უბ | 182 | 18 |
| 7 | ნაბილ მებარკი (ალჟირი) | უბ | 194 | 23 |
| 8 | ნაბილ ბოუდისა (კენტუკი, აშშ) | ფ | 202 | 21 |
| 9 | მილოუდ დოუბალი (ანტიბი, საფრანგეთი) | უბ | 187 | 21 |
| 10 | ნასერ ჰაიფი (სტაუელი) | ფ | 204 | 25 |
| 11 | ნაჯიმ უოალი (ალჟირი) | ფ | 204 | 30 |
| 12 | მურედ ბუჰედირი (ესპინალი, საფრანგეთი) | ფ | 198 | 206 |
| 13 | ამინ ბერამდანე (სტაუელი) | უბ | 190 | 29 |
| 14 | აბდელჰალიმ საია (ალჟირი) | უბ | 200 | 27 |
| 15 | ტარიკ უკიდი (ალჟირი) | ც | 205 | 23 |

## D ჯგუფი

### არგენტინა

მწვრთნელი: რუბენ მაგნანო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | პეპე სანჩესი (ლუცენტუმი) | უბ | 194 | 25 |
| 5 | ემანუელ ჯინობილი (სან ანტონიო, აშშ) | უბ | 198 | 25 |
| 6 | ალეხანდრო მონტეჩია (პამესა, ესპანეთი) | უბ | 186 | 30 |
| 7 | ფაბრიციო ობერტო (პამესა, ესპანეთი) | ც | 208 | 27 |
| 8 | ლუკას ვიტორიანო (რეალი, ესპანეთი) | უბ | 194 | 25 |
| 9 | გაბრიელ ფერნანდესი (ვალიადოლიდი, ესპანეთი) | ც | 202 | 26 |
| 10 | ჰუგო სკონოჩინი (მილანი, იტალია) | ფ | 200 | 31 |
| 11 | ლუის სკოლა (ტაუგრესი, ესპანეთი) | ფ | 205 | 22 |
| 12 | ლეონარდო გუტიერესი (ლეონი, ესპანეთი) | ფ | 201 | 24 |
| 13 | ანდრეს ნიკონი (ტაუგრესი, ესპანეთი) | ფ | 201 | 23 |
| 14 | ლეონარდო ალადინო (ნაპოლი, იტალია) | ფ | 195 | 26 |
| 15 | რუბენ ვოლკოვიცკი (უგუნდოდ) | ც | 208 | 29 |

### რუსეთი

მწვრთნელი: სტანისლავ ერიომინი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | ვასილი კარასიოვი (ურალ გრეიტი) | უბ | 193 | 31 |
| 5 | ალექსანდრ ბაშმინოვი (ურალ გრეიტი) | ც | 212 | 24 |
| 6 | სერგეი პანოვი (ურალ გრეიტი) | ფ | 203 | 32 |
| 7 | იგორ კუდელინი (მინ. ვოდი) | უბ | 195 | 30 |
| 8 | სერგეი ჩიკალკინი (ბენეტონი, იტალია) | უბ | 196 | 27 |
| 9 | ნიკიტა მორგუნოვი (ავტოდორი) | ც | 210 | 27 |
| 10 | ევგენი პაშუტინი (უნიკსი) | უბ | 190 | 33 |
| 11 | ზახარ პაშუტინი (ცსკა) | უბ | 196 | 28 |
| 12 | ვიქტორ ხრიაპა (ცსკა) | ფ | 203 | 20 |
| 13 | ანდრეი კირილენკო (იუტა, აშშ) | ფ | 206 | 21 |
| 14 | რუსლან ავლეევი (კინდერი, იტალია) | ფ | 200 | 26 |
| 15 | ალექსეი სავრასენკო (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი) | ც | 217 | 23 |

### ახ.ზელანდია

მწვრთნელი: ტაბ ბოლდუინი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | ზარკ დიკელი (ვიქტორია, ავსტრალია) | უბ | 186 | 206 |
| 5 | ჯუდ ფლაველი (ნელსონ ჯაიანთსი) | უბ | 186 | 29 |
| 6 | კირკ პენი (ვისკონსინი, აშშ) | უბ | 195 | 22 |
| 7 | პოლ ჰენარი (მაითი ჰოქსი) | უბ | 188 | 23 |
| 8 | ფილ ჯონსი (კოუვოლანი, ფინეთი) | ფ | 196 | 28 |
| 9 | პაოლა უინიტანა (ჰარბორ კინგ ზი) | უბ | 195 | 26 |
| 10 | დილონ ბუჩერი (ვაიკატო ტიტანზი) | უბ | 195 | 27 |
| 11 | პერო კემერონი (ვაიკატო ტიტანზი) | ფ | 202 | 28 |
| 12 | დეიმონ რემპტონი (ნელსონ ჯაიანთსი) | ფ | 202 | 24 |
| 13 | ედ ბუქი (ნელსონ ჯაიანთსი) | ც | 209 | 32 |
| 14 | შონ მარქსი (მაიამი, აშშ) | ც | 208 | 37 |
| 15 | რობერტ ჰიკი (მაითი ჰოქსი) | ც | 210 | 28 |

### ვენესუელა

მწვრთნელი: ჯიმ კლევინი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | ვიქტორ დიასი (პანტერაზი) | ფ | 198 | 34 |
| 5 | პაბლო მაჩადო (პლასენსია) | ც | 208 | 25 |
| 6 | იუმერვინ მიარესი (პანტერაზი) | უბ | 191 | 26 |
| 7 | რიჩარდ ლუგო (პანტერაზი) | ც | 207 | 29 |
| 8 | ალეხანდრო კიროსი (გუაქუერესი) | უბ | 186 | 28 |
| 9 | ოსკარ ტორესი (ჰიუსტონი, აშშ) | უბ | 198 | 26 |
| 10 | დიეგო გევარა (ტროტამუნდოსი) | უბ | 186 | 25 |
| 11 | კარლ ერერა (ტროტამუნდოსი) | ც | 206 | 36 |
| 12 | ჰექტორ რომერო (ლუიზიანა, აშშ) | ფ | 192 | 22 |
| 13 | ვლადიმირ ერედია (კოკოდრილოსი) | ც | 202 | 32 |
| 14 | ტომას აგილერა (მარინოსი) | ფ | 197 | 25 |
| 15 | კარლოს მორისი (მარინოსი) | უბ | 195 | 27 |

US OPEN 2002 ნიუ იორკი. ჰარდი. საპრიზო 16 174 200 $

# შავი წიწმატი

## სერენა ძნელად შესარგბი

## ყველა მას აძაგებს = ყველა მასზე ფიქრობს

**ვაჟები**
**პირველი წრე**

პიტ სამპრასი (17, აშშ) — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:1, 6:4, 6:4; ტომი ჰაასი (3, გერმანია) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 7:6 (7:1), 3:6, 3:6, 6:4, 7:5; ტიმ ჰენმანი (5, ბრიტანეთი) — ტუომას კეტოლა (ფინეთი) 6:1, 6:1, 6:1; სებასტიან გროჟანი (10, საფრანგეთი) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:1, 3:6, 6:1, 6:4; სარგის სარგსიანი (სომხეთი) — დავიდ ნალბანდიანი (16, არგენტინა) 6:1, 6:4, 6:4; ხუან იგნასიო ჩელა (26, არგენტინა) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:2, 7:6 (7:4), 6:2; ფერნანდო გონსალესი (28, ჩილე) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 2:6, 7:6 (7:1), 3:6, 6:4, 6:4; გრეგ რუზედსკი (33, ბრიტანეთი) — ალექს კიმი (აშშ) 6:1, 4:6, 7:6 (7:1), 6:3; პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) — პრაკაშ ამრიტრაჯი (აშშ) 6:1, 6:3, 6:0; არნო კლემანი (საფრანგეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:3, 4:6, 7:5, 6:3;

**ქალები**
**მეორე წრე**

სერენა უილიამსი (1, აშშ) — დინარა საფინა (რუსეთი) 6:0, 6:1; ელენა ბოვინა (რუსეთი) — ელენა დოკიჩი (5, იუგოსლავია) 6:3, 6:2; ჟუსტინ ენენი (8, ბელგია) — კარა ბლეკი (ზიმბაბვე) 6:3, 6:2; დანიელა ჰანტუხოვა (11, სლოვაკეთი) — ვირჟინი რაცანო (საფრანგეთი) 6:3, 6:2; ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) — ელენა დემენტიევა (12, რუსეთი) 7:6 (9:7), 6:3; სილვია ფარინა ელია (12, იტალია) — ელს კალენსი (ბელგია) 6:2, 6:2; ანასტასია მისკინა (15, რუსეთი) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 3:6, 7:5, 6:1; დაია ბედანოვა (20, ჩეხეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 7:6 (7:2), 2:6, 6:3; ივა მაიოლი (24, ხორვატია) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:4, 6:4; ნატალი დეში (26, საფრანგეთი) — იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) 6:1, 3:6, 7:6 (7:1); ბი ბილეიკი (აშშ) — ტამარინე ტანასუგარნი (27, ტაილანდი) 6:4, 6:2

### პირველი გაიმასქნება

არტურ ეშის სახელობის კორტზე იმ დღეს პირველი ბობოლა წამოიქცა — მსოფლიოში 61-ე მეჩოგნემ და მიწიდან მეტრისა და 89 სანტიმეტრის ამთვლელმა რუსმა ელენა ბოვინამ მხოლოდ ერთი საათი მოანდომა მეხუთე ნომრად განთესილი სერბი სეხნიის, სანდომიანი დოკიჩის გაიმასქნებას.

თავიანთ მეტოქეებს ასე მხოლოდ სწორედ ზეათეულის წარმომადგენლები ათახსირებენ. თავისკბილა რუსი გოგოს 19 უნებლიე შეცდომის წილ დოკიჩმა 29 უნებლიე შეცდომა დაუშვა, ოთხჯერ დათმო საკუთარი მოწოდება და საერთოდ ისე უჯიგროდ, უნებისყოფოდ და სასოწარკვეთილად გაირჯა, რომ გარეშე მაყურებელი ვერც კი მიხვდებოდა, მის წინაშე ტურის ერთი ყველაზე დაულალავი და ზეპურთაგან ყველაზე მეტ ტურნირზე ნაბურთავები ქალი თუ იყო.

ბოლო კვირების განმავლობაში დოკიჩს მუხლები აწუხებდა — ამის გამო მონრეალის ტურნირიც დროზე ადრე დატოვა და ნიუჰევენურიც. ჰოდა, მისი იმდღევანდელი გაბითურებაც მისმა ქომაგებმა ისევ მუხლებს გადააბრალეს.

მაგრამ თავად იუგგოგომ ეგ მიზეზი ცალსახად უარყო: „ტრავმა არაფერ შუაშია, დღეს ამის გამო არ დავმარცხებულვარ. ეს ერთი იმ მატჩთაგანი იყო, როცა დარტყმები არ წამივიდა და უამრავი შეცდომა დავუშვი. ჩემი თამაში დღეს ყოველგვარი უმსგავსობის ნაზავს წარმოადგენდა".

საკუთრივ საჩოგბურთო თემებზე ნასაუბრევს ჟურნალისტებმა დოკიჩს რამდენიმე კითხვა მისი პოლიტიკური სიმპათიების შესახებაც დაუსვეს. ეს იმიტომ, რომ მას ნიუ იორკიდან მხარდაჭერის წერილი უფრენია იუგოსლავიის რადიკალური პარტიის ლიდერ ვოისლავ შეშელისათვის, რომელიც სექტემბერში გასამართ საპრეზიდენტო არჩევნებში ამჟამინდელი პრეზიდენტის, ზომიერთა ფრთის წარმომადგენელ კოშტუნიცას ძირითადი კონკურენტი იქნება.

გაუწყებთ, რომ შეშელს გაეროს მიერ სლობოდან მილოშევიჩთან ერთად ხორვატიის წინააღმდეგ გაჩაღებული ომის ერთ-ერთ ინსპირატორად მიიჩნევენ.

„ეს ჩემი პირადი არჩევანია — მინდა ხმა სწორედ ამ კაცს მივცე და ამაში დასაძრახს ვერაფერს ვხედავ" — თქვა დოკიჩმა და ამ პასუხის შემდეგ ჟურნალისტებს მისი წერილის დაწვრილებითი განხილვისგან თავის შეკავება სთხოვა...


REUTERS ნიუ იორკიდან

უსახელო სარგის სარგსიანმა სახელიან დავიდ ნალბანდიანს აჯობა

ხოლო სანამ მის მძლეველზე გეტყოდეს რასმე, ბარემ დოკიჩზე მოვამთავროთ: წლეულს ორი ტურნირის — სარასოტასა და ბირმინგემის — მომგები აშშ-ის ღია პირველობაზე მეოთხედფინალს ვერასოდეს გასცილებია. წლევანდელი სლემტურნირებიდან მან მხოლოდ როლან გაროსსა და უიმბლდონზე ითამაშა და თუკი პარიზში ნახევარფინალის მიჯნასთან შეაჩერეს, ლონდონში უკვე მეოთხე წრიდან გამოვარდა.

რაც შეეხება ბოვინას, დოკიჩის დარად იგიც 19 წლისაა, ხოლო კარიერის პირველი ტიტული წლეულს, ვარშავაში მიითვალა. მისი ეს გამარჯვება მაინცდამაინც იუგგოგოს შეცდომებით რომ არ ავხსნათ, აქვე მის დახვეწილ პლასტიკასა და ორივე მხრიდან მძლავრად დამრტყმელობაზეც უნდა ითქვას. ეს სწორედ მისმა გააზრებულმა და კადნიერმა თამაშმა განაპირობა მღედრიონის ერთ-ერთი ფავორიტის ოტება...

ნამატჩევს ბოვინა რუსეთში ქალთა ჩოგბურთის საოცარ აღზევებასა და მის მეოხ უცხოელ სპეციალისტებზე საუბრობდა: „ჩვენ ადრეც ბევრი კარგი მოთამაშე გვყავდა, მაგრამ მათ ქვეყნიდან გასვლა არ შეეძლოთ. ახლა კი ზოგი ჩვენთაგანი ესპანეთში ვარჯიშობს, ზოგიც — შეერთებულ შტატებში".

„მე გამიმართლა, რომ ორი წელი ნიკ ბოლეტიერის აკადემიაში გავატარე. ის მართლაც დიადი მწვრთნელია და თავის დროზე უდიდესი დახმარება გამიწია... განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ჯონ მაკინროიმაც, ვისთანაც კეთილი მეგობრობა მაკავშირებს. მე ვაღმერთებ ჯონს. ის ძალიან ჭკვიანი პიროვნებაა და ყოველთვის ძალიან მეხმარება ხოლმე".

სულ ბოლოს ტურნირის პირველ მესენსაციეს მის უჩვეულო სიმაღლეზეც დაეკითხნენ: „როცა ასე სწრაფად იზრდები, კოორდინაციის უნარს ჰკარგავ. მახსოვს, ძალიან მიჭირდა სიმაღლესთან შეგუება. მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა და სხეულთან დაკავშირებით უკვე არანაირი პრობლემა აღარ მაქვს".

ეს რომ მართლაც ასეა, ამაში იმ დღეს მთელი საჩოგნეთი დარწმუნდა.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, უბრალოდ დაიმახსოვრეთ — ელენა ბოვინა. ვაგლახ — ამ სახელისა და გვარის ხსენება ჩვენ ალბათ ხშირად მოგვიხდება ხოლმე.

### ტომის დააგრძელებინეს

ტურნირზე მესამე ნომრად განთესილ ტომი ჰაასს ძალიან მძიმე მატჩი გადახდა. შეუპოვარი მოცილის, ქარიანობის, მოუშუშებელი მხრისა და კრუნჩხვების გარდა მას ტურნირის ორგანიზატორთა გემოვნებასთან ჭიდილიც მოუხდა.

ყველაფერი ასე დაიწყო:

კორტზე უმკლავებო მაისურათი გასულ ტომის ორგანიზატორებმა ცხვირწინ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდება აუფრიალეს. წესდების ერთ-ერთი მუხლის თანახმად მეჩოგნეებს ყოველგვარი „არატრადიციული" სამოსლით ბურთაობა ეკრძალებათ, მით უფრო, როცა „სამოსელი იმაზე მეტ ხორცს აჩენს, ვიდრე ეს ნებადართულია".

ერთი სიტყვით, გერმანელს მკლავების დაგრძელება მოუხდა, თუმცა ეს ძალზედ უხალისოდ გააკეთა.

„მე იმ ტიპების რიცხვს ვეკუთვნი, ვისაც მკლავები მაგრად არ ევასება — ამბობდა მერე — ამიტომაც ვიფიქრე, მსუბუქად გავალ-მეთქი. ეს მაისურა შეუფერებელიაო, მითხრეს. მეთქი, მაშინ რა არის შესაფერისი? ჩემი აზრით, ვისაც რა სურს, ის უნდა ჩაიცვას. როცა მზეა, მაისურას საერთოდ არ ვიცვამ. თუკი ქალებს შეხედავთ, იქ ჩვენთან შედარებით გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა — ამ თვალსაზრისით ქალები ნაღდად ჩვენზე წინ არიან. დარწმუნებული ვარ, ჩვენი „თავისუფალი ჩაცმულობის" წინააღმდეგ არც ქომაგები უნდა იყვნენ. ჩაცმულობა ხომ ადამიანის შინაგანი ბუნების ერთგვარი გამოვლინებაა, ქომაგებს კი ჩვენი შინაგანი რამე-რუმეებიც ისევე აინტერესებთ, როგორც ჩვენი ჩოგნაობის ხილვა".

ჰაასის იდეას „მოდის თავისუფლების" შესახებ პირველი სერენა უილიამსი გამოეხმაურა, ვინაც საჩოგნეთი პირველსავე დღეს დაშოკა თავისი შავტყავა, ტანზე შეტმასნილი ურცხვი კომბინეზონით. „ბიჭებმაც და გოგოებმაც ის უნდა ჩაიცვან, რაც სიამოვნებთ. არავის შეუძლია, დამიდგინოს ის, თუ რა და როგორ უნდა ჩავიცვა. მე მძულს ის, როცა ადამიანები ჩემს საქმეში ერევიან და მასწავლიან, თუ რა მიხდება და რა არ მიხდება" — წიწმატობდა უმცროსი შავდა.

მისი წიწმატობა გამოღმით შერჩენის მიზნით გაღმა გადავებას უფრო ჰგავდა, რაღგანაც თავად მისი სამოსი — რომელიც ცოდვა გამხელილი სჯობს, მის ბარაქიან უკანალს მართლაც არასახარბიელოდ წარმოაჩენს — ფლეშინგ მედოუზზე ყოველდღიური მითქმა-მოთქმისა და ძაგების ობიექტია...

ასეა თუ ისე, „ხორცის დაფარვამ" ჰაასი 5-სეტიან განდაგანაში მონაწილეობისგან მაინც ვერ დაიცვა. სამსაათნახევრიანი შეხვედრის ბედი მაშინ გადაწყდა, როცა კერკეტმა სანჩესმა მეხუთე სეტში 5:5-ზე საკუთარი მოწოდება დათმო, ხოლო 5:6-ზე ჰაასის მიერ რამდენიმე მატჩბურთის ორმაგი შეცდომებით წამურდვლა ვერ შეიშნოვა და ჩოგანი დახარა.

ჩემი საუკეთესო ჩოგბურთი დღეს ნამდვილად არ მითამაშიაო, აღიარებდა ჰაასი ნამატჩევს. „ქარში საშინლად ვთამაშობ. მით უმეტეს, როცა ფეხები მკრუნჩხავდა და თან მხარიც საშინლად მიყმუოდა".

### პიტი და სხვებიც

ბობოლა კაცებიდან თავიანთი პირველი სკალპები უპრობლემოდ და სეტისწაუგებლად მიითვალეს ოთხგზის ჩემპიონმა პიტ სამპრასმა (17) და უპირველესმა ბრიტანელმა მეჩოგნემ, ვაგლახად მხარმტკივანმა ტიმ ჰენმანმა (5). პირველმა ესპანელ ალბერტ პორტასს მოუგო, მეორემ კი უსახელო ფინელი ტუომას კეტოლა გაანადგურა.

ნამატჩევს სამპრასი ბევრს და შთაგონებით საუბრობდა: „დღეს აგრესიულად ვითამაშე და შედეგის გარდა თამაშითაც ნაამები ვარ... წლეულს ძალიან გამიჭირდა. საკუთარი თვითრწმენა დავკარგე. ჩემი დომინირების ეპოქა წარსულს ჩაბარდა. მაგრამ მაინც მგონია, რომ ერთი დიდი ტურნირის მოგება კიდევ უნდა შემეძლოს... ჩოგბურთი აღარ არის მთელი ჩემი ცხოვრება, ისე, როგორც ეს რამდენიმე წლის წინ იყო. იმ წლებში გამარჯვებებითა და დამარცხებებით ვცხოვრობდი და ვკვდებოდი... ახლა ჩემი ერთადერთი სურვილი კიდევ ერთი სლემტიტულის მოპოვებაა და იმედი მაქვს, რომ ეს აქ მოხდება... ჯერ ბოლომდე არ ჩამქრალა ჩემში ის ვნება, რაც ბოლო, გადამწყვეტ დარტყმას შემასრულებინებს"...

და კიდევ — გამორჩეული ყურადღება იმ დღეს რამდენიმე თამაშმაც მიიპყრო.

ამერიკელი ალექს კიმის წინააღმდეგ 1997 წლის ფინალისტმა გრეგ რუზედსკიმ 19 ეისი გაისროლა, ჯამში 68 მომგებიან ქულას მოუკრა თავი, მაგრამ ზედ 41 უნებლიე შეცდომაც დაუშვა და ამიტომ მატჩის მსვლელობისას რამდენჯერმე შმაგად აბურთავებაც მოუხდა, გაოჩნებულ მეტოქეს რომ გასწორებოდა.

ბრწყინვალე სამაგარსაფრო სეზონი ინდოამერიკელი პრაკაშ ამრიტრაჯის ძლევით განაგრძო და კარიერის პირველი საამერიკო გამარჯვება მიითვალა ტაილანდელმა პარადორნ შრიჩაფანმა. (სხვათა შორის — ეს პრაკაში იმ ვიჯაის ამრიტრაჯის შვილია, შორეულ 1972-ში აშშ-ის ღია პირველობის მესამე წრიდან როდ ლეივერი რომ დაიფრინა, მომდევნო წელს კი ბიორნ ბორგი აოტა).

ხოლო უიმბლდონის წლევანდელი ფინალისტის, დავიდ ნალბანდიანისა (16) და მისი ისტორიული თვისტომის, სარგის სარგსიანის საინტერესო პაექრობა ღედასომხეთის წარმომადგენლის გამარჯვებით დასრულდა. ნალბანდიანმა უნებლიედ 43-ჯერ მიპქარა და 4 საკუთარი მოწოდება დათმო — ეს საკმარისი გამოდგა, რათა სარგსიანს 1997 წლის შემდეგ მოუგებელი აშშ-ის ღია პირველობის საპირველწრეო შეხვედრა მოეგო.

### „ჩვენ, ცხოველები"

სერენა უილიამსის სამეორწრეო ვარჯიშმა ზუსტად 40 წუთს გასტანა. მარატ საფინის 16 წლის დაიკოს დასაბომბად ქალთა მეპირველეს სწორედ ამდენი დრო დასჭირდა.

„რა ვქნა, ამაზე სუსტად დარტყმა მე არ შემიძლია — იმართლებოდასავით ნამატჩევს სერენა — მჯერა, ეგ გოგო ოდესმე დიდ ჩოგბურთს ითამაშებს. რაც მთავარია, იგი უკვე ახლაა მშვენიერი პიროვნება. კორტის გარეთ ის მუდამ იღიმის. დღეს ეისი რომ ჩამიგდო, ისე შემომხედა, თითქოს პატიებას მთხოვდა... იმედია, ჩვენ, უფრო მოზრდილი ცხოველები მას არ შევავიწროვებთ და ნორმალურად გაზრდის საშუალებას მივცემთ".

„მე რაც შემეხება, კორტზე საშინელი ვინმე ვარ. ერთი სიტყვიც თქმაც არ შემიძლია, მხოლოდ — გრრრრრრრ და მეტი არაფერი! მაგრამ კორტის გარეთ მეც კარგი ვარ, ყველასთან რიგიანი ურთიერთობები მაქვს. მატჩის შემდეგ ვუთხარი, კარგად იმუშავე-მეთქი... ღმერთმანი, პალალად ვუთხარი".

სხვაფრივ — სულ ბოლოს ზეპურ ქალთაგან კორტზე ლინდსი დევენპორტი (4) და პეტრა მანდულა გავიდნენ. ანგარიში 6:4, 2:2 იყო, როცა ნიუ იორკის თავზე მთელი დღის განმავლობაში მოქუფრულმა ღრუბლიონმა პირი დაალო და კორტს კათხისპირულად დაათქშა.

ეს და სხვა შეწყვეტილი მატჩები გუშინ გვიან უნდა მომთავრებულიყო.

**ლევან ძელაურაძე**


REUTERS ნიუ იორკიდან

ორი ელენა: მძლეველი ბოვინა და ძლეული დოკიჩი

# მისაღები მივიღოთ

## საქართველოს რაგბის კავშირი თბილისელების ფულს ელის

**ხვალ** საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი უნდა დაიწყოს. დაიწყოსო, კი ვამბობთ, მაგრამ ბოლოს როდის დაიწყო და დასრულდა სეზონი ნორმალურად, არავის ახსოვს და სასიკეთო არც ახლანდელ ვითარებას ეთქმის...

წესით, ჩემპიონატი გაზაფხულზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ რაგბის კავშირთან შეთანხმებით კლუბებმა გადაწყვიტეს, შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით ეთამაშათ და სეზონის დაწყება აგვისტოს ბოლოსთვის გადადეს.

უმაღლეს ლიგაში 6 გუნდი ითამაშებს: თბილისის „ლოკომოტივი", თბილისის „ყოჩები", ბათუმის „დათვები" და „დათვები 2", თბილისის „უნივერსიტეტი" და ქუთაისის „აია". თუმც შინაური რაგბის სიდუხჭირისა და კლუბების სიღატაკის გამო ესეც პირობითია. სამმა თბილისურმა კლუბმა — „ლოკომოტივმა", „ყოჩებმა" და „უნივერსიტეტმა" ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა ვერ მოიძია. რაგბის კავშირში ფული მხოლოდ ბათუმის „დათვების" ორივე გუნდმა და ქუთაისის „აიამ" შეიტანეს.

წესდებით, საწევრო შესატანი უმაღლესი ლიგის ექვსივე გუნდს უკვე ჩარიცხული უნდა ჰქონდეს. რაგბის კავშირმა შეღავათი გაუწია დავალიანებულებს და ფულის გადახდის ვადა დღეისთვის დაუთქვა. თუ უფულო სამეულმა საჭირო თანხა ვერ იშოვა, ჩემპიონატში არ დაუშვებენ და მესამე ტურამდე ყველა მატჩში წაგებას ჩაუთვლიან, მესამე ტურის შემდეგ კი გათამაშებიდან მოხსნიან.

მსგავსი სიტუაცია ძალიან ნაცნობია. ადრეც ყოფილა, ჩემპიონატს ჩაშლაც დამუქრებია, მაგრამ ბოლო წამს კლუბებს ფული უშოვიათ და სეზონი ავად თუ კარგად ჩაუმთავრებიათ. რაგბის კავშირი პრინციპულობას იჩენს და თუ თბილისურმა სამეულმა საწევრო დროულად არ გადაიხადა, მივიღებთ სამგუნდა ჩემპიონატს, რომელიც საქართველოსი კი არა, ლიხსიქითა პირველობა იქნება.

**ბაჩო სვანიძე**



# დოპინგში? მე?

## ბულამიმაც ძალიან შეიცხადა

*მაროკოელი მორბენალი ბრაჰიმ ბულამი დოპინგ-ტესტზე ჩავარდა და თუ განმეორებითმა ანალიზმაც მის სისხლში აკრძალული პრეპარატის კვალი დააფიქსირა, გრძელვადიანი დისკვალიფიკაცია არ ასცდება.*




ბრაჰიმ ბულამის რეკორდი წამწარდა

ბრაჰიმ ბულამი უბრალო კაცი არ გეგონოთ. სულ ახლახან ციურიხში „ოქროს ლიგის" ტურნირზე ისეთი რეკორდი დაამყარა, მძლეოსანთა სამყარო აალაპარაკა. 3 000 მეტრი წინაღობებით ბულამიმ 7.53,17 წუთში გაირბინა და თავისსავე შარშანდელ მსოფლიოს რეკორდს 2,11 წამი ჩამოაჭრა. 1976 წლიდან მოყოლებული ბულამი პირველი არაკენიელია, რომელიც ამ დისტანციაზე რეკორდსმენი შეიქნა.

30 წლის ბულამის ტრიუმფით ტკბობა დიდხანს არ დასცალდა.

როცა მთელი მაროკო აღმერთებდა, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია მის სისხლს ამოწმებდა და აი, პასუხიც: ბულამის სისხლში სტიმულატორის კვალი იპოვეს.

ეს პირველი ტესტის პასუხია. განმეორებითი კი ამ დღეებში ჩატარდება. „არ ვიცი, რა უნდა მომხდარიყო, ერთი წლის მანძილზე მუდმივად გავდიოდი დოპინგ-ტესტს და არაფერი უპოვიათ. ერთადერთი დოპინგი, რაც მივიღე, მუხლჩაუხრელი ვარჯიშია" — ალალსიტყვობს ბულამი.

მაროკოს მძლეოსნობის ფედერაციამაც დაადასტურა, რომ ბულამის სისხლში მართლაც აღმოჩნდა დოპინგის კვალი. ახლა რეკორდსმენს ისღა დარჩენია, განმეორებით ტესტს დაელოდოს და თუ მანაც წინამორბედის შედეგი დაადასტურა, მაშინ სარბენ ბილიკებზე კი არა, დოპინგ-ტრიბუნალზე მოუწევს სირბილი. ბულამის მინიმუმ 6-თვიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

**ბაჩო სვანიძე**


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74
მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

ეროვნული ბიბლიოთეკა




ცრვენა ზვეზდა — ქაირათი. დრაგან მლადენოვიჩი (მარჯვნივ) სერგეი კუცოვს წამოედო




მუსკრონი — ფილკირი. მბო მპენზას (მარცხნივ) თეოდორ ოსკარსონმა მაკრატელივით მოუქნია

## უეფას თასი

UEFA CUP

საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

**ზენიტი (რუსეთი)** 8:0 ენკამპი (ანდორა) (5:0)
**პუხოვი (სლოვაკეთი)** 2:0 ატირაუ (ყაზახეთი) (0:0)
**პოლონია (პოლონეთი)** 2:0 სლიმა უონდერერზი (მალტა) (3:1)
ნოვა გორიცა (სლოვენია) 1:3 **რაპიდი (რუმინეთი)** (0:2)
ატლანტასი (ლიტვა) 1:3 **ლიტექსი (ბულგარეთი)** (0:5)
**სარტიდი (იუგოსლავია)** 2:0 ბანგორ სიტი (უელსი) (0:1)
ვესტმანაეიარი (ისლანდია) 1:3 **აიკ (შვედეთი)** (0:2)
**ჟიჟკოვი (ჩეხეთი)** 3:0 დომანანო (სან მარინო) (2:0)
ბი გოტუ (ფარერები) 0:8 **ჰაიდუკი (ხორვატია)** (0:3)
**კერნტენი (ავსტრია)** 4:2 მეტალურგსი (ლატვია) (2:0)
**ვისლა (პოლონეთი)** 4:0 გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) (2:0)
ზვარტნოცი (სომხეთი) 2:0 **პრიმორიე (სლოვენია)** (1:6)
პარტიზანი (ალბანეთი) 1:4 **ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი)** (0:1)
**იურგორდენი (შვედეთი)** 2:0 შემროკ როვერსი (ირლანდია) (3:1)
**მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)** 2:0 ლევადია (ესტონეთი) (2:0)
გიოტებორგი (შვედეთი) 2:2 **ზიმბრუ (მოლდოვა)** (1:3)
ჰიკ (ფინეთი) 0:4 **გომელი (ბელარუსი)** (0:1)
ნისტრუ (მოლდოვა) 0:0 **აბერდინი (შოტლანდია)** (0:1)
დანდალკი (ირლანდია) 0:4 **ვარტექსი (ხორვატია)** (0:5)
**სერვეტი (შვეიცარია)** 3:0 სპარტაკი (სომხეთი) (2:0)
აელ (კვიპროსი) 2:1 **ფერენცვაროში (უნგრეთი)** (0:4)
**ლივინგსტონი (შოტლანდია)** 0:0 ვადუცი (ლიხტენშტაინი) (1:1)
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 1:1 **სტაბეკი (ნორვეგია)** (0:4)
**იფსვიჩ თაუნი (ინგლისი)** 8:1 ავენირი (ლუქსემბურგი) (1:0)
**მუსკრონი (ბელგია)** 3:1 ფილკირი (ისლანდია) (1:1)
**ნაციონალი (რუმინეთი)** 2:2 ტირანა (ალბანეთი) (1:0)
**ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)** 3:0 ქაირათი (ყაზახეთი) (2:0)
გრევენმახერი (ლუქსემბურგი) 2:0 **ანართოსისი (კვიპროსი)** (0:3)
ლანსანტფრეიდი (უელსი) 2:7 **ამიცა (პოლონეთი)** (0:5)
ლუგანო (შვეიცარია) 1:0 **ვენტსპილსი (ლატვია)** (0:3)
**მიდტიულანდი (დანია)** 3:0დ.დ. (2:0) პობედა (მაკედონია) (0:2)
**უიპეშტი (უნგრეთი)** 1:0 კლაქსვიკარი (ფარერები) (2:2)
**შიროკი ბრიაგი (ბოსნია)** 3:0 სენეცი (სლოვაკეთი) (2:1)
**ცსკა (ბულგარეთი)** 1:0 დინამო (მინსკი, ბელარუსი) (4:1)
**სარაევო (ბოსნია)** 2:1დ.დ. (პენ. 5:3, 2:1) სიგმა (ჩეხეთი) (1:2)
ბელასიცა (მაკედონია) 1:2 **ლეიქსოეში (პორტუგალია)** (2:2)
**სუდუვა (ლიტვა)** 3:2 ბრანი (ნორვეგია) (3:2)
**ოდენსე (დანია)** 2:0 მიუპა (ფინეთი) (0:1)
ბირკირკარა (მალტა) 0:0 **მეტალურგი (ზაპოროჟიე, უკრაინა)** (0:3)

## ნორვეგია

თასის მეოთხედფინალი

**ვოლერენგა 3:1 ვიკინგი**




სარაევო — სიგმა. მასპინძელთა მეკარე მარტინ ვანიაკმა თავი პენალტების სერიაშიც გამოიჩინა




მაკაბი — ლევადია. ესტონელი სერგეი დომოვი ებრაელებმა გაჭყლიტეს




ნაციონალი — ტირანა. ფიოდორ ჯაფასგან (მარჯვნივ) დან პეტრესკუს გვარიანი ჯაფა დაადგა



REUTERS

# იგებენ

ასეთია ესტაფეტა: სამმა უკვე გაცურა და ახლა მეოთხეს ამხნევებენ. ამერიკელი გოგონები დიანა მანცი, მერი ჰილი და ნატალი კაფლინი თავიანთ მეოთხეს, ლინდსი ბენკოს დასძახიან. ამბავი იოკოჰამაში, წყნარი ოკეანის მოცურავეთა ჩემპიონატზე ხდება და ეს გოგონები ოქროს მედლებს იგებენ 4X200 შეჯიბრში

# გრინი ბრიუსელში

მორის გრინი, განთქმული ამერიკელი სპრინტერი ნორჩ ბელგიელ მძლეოსნებს ჩახუტებია. გრინს შეჯიბრი უწევს ბრიუსელში — ოქროს ლიგის ბელგიის დიდი პრიზის გათამაშება, სადაც ამერიკელი 100 მეტრზე რბენაში გამოვა.



REUTERS


REUTERS

# საუდბოლი

თუ არ გსმენიათ საუდის არაბეთის საკალათბურთო ნაკრების შესახებ, ახლა გაიგებთ: საუდელებმა ამანში სძლიეს მასპინძელ იორდანიელებს (68-57) და მეფე აბდულას თასს დაეუფლენ.

# უტეხი

ამ ბიჭმა, სან ხოსეს უნივერსიტეტის მობურთალმა ნილ პერიმ ფეხი დაკარგა. ამპუტაცია გამოწვეულმა ტრავმამ გამოიწვია და 22 წლის ბიჭმა სამუდამო დაზღვევა-პენსიაც მიიღო, მაგრამ მაინც არა ცხრება. უტეხი ბიჭია და ვარჯიშსაც გაალმასებით მიჰყო ხელი.






# ბონ ჯოვი ბურთაობს

ჯონ ბონ ჯოვი 5 სექტემბერს ტაიმს სკვერზე იმღერებს. სწორედ იმ საღამოს ამერიკული ბურთაობის სეზონი დაიწყება და „ნიუ იორკ ჯაიანთსი“ „სან ფრანცისკო ჯაზს“ შეხვდება. მანამდე კი მომღერალი ჯაიანთთა სავარჯიშო მინდორზეა ნიუ ჯერსიში და მშვენივრადაც ერთობა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge